|-----------------------------------|----------------------------|------------------------|------------------------|--------------------|-----------------|-------------------------|---------------|-----------------|----|
| პროექტი                           | მტკვარი ჰესი               |                        |                        |                    | ადგილმდებარეობა | გვირაბის ღერძი გასწვრივ |               |                 |    |
| კლდოვანი ქანის კლასიფიკაცია - RMR |                            |                        |                        |                    |                 |                         |               |                 |    |
| სიმკტივე                          | ქანის ხარისხის მაჩვენებელი | გაშიშვლების სიგრძე (მ) | გავრცელების მდომარეობა |                    |                 |                         | გრუნტის წყალი | ჯამური შეფასება |    |
|                                   |                            |                        | სიგრძე                 | ნაპრალის სისქე(მმ) | სიუხეზე         | შემავსებელი გამოფიტვა   |               |                 |    |
| 12                                | 17                         | 20                     | 4                      | 0                  | 5               | 2                       | 3             | 10              | 73 |

| კლდოვანი ქანის კლასიფიკაცია - Q |     |    |    |    |    |     |      |
|---------------------------------|-----|----|----|----|----|-----|------|
|                                 | RQD | Jn | Jr | Ja | Jw | SRF | Q    |
|                                 | 73  | 12 | 1  | 2  | 1  | 2.5 | 1.22 |

ქანის ხარისხის მაჩვენებლის გამოთვლა

ქანის ხარისხის მაჩვენებელი= სიგრძის ჯამური რაოდენობის >100 მმ/სკანლაინის სიგრძეზე

## 5.2 დანართი 2. წყლის ქიმიური ანალიზი

| წყლის სინჯის ქიმიური ანალიზი  |                            |   |              |  |                    |
|-------------------------------|----------------------------|---|--------------|--|--------------------|
| სინჯის აღების ადგილი          |                            | ასპინძა, სოფელი რუსთავის მიმდებარე ტერიტორია. |              |  |                    |
| წყალპუნქტის ტიპი              |                            | ჭაბურღილი, ჭაბურღილის სიღრმე- 50              |              | სინჯის აღების თარიღი   | 18.06.2018         |
| იონები                        | აბსოლუტური შემცველობა, გ/ლ | მგ.ექვ./ლ                                     | მგ.ექვ./ლ, % | სხვა მონაცემები  |                    |
| 1                             | 2                          | 3   | 4            | 5  |                    |
| კათიონები                     |                            |   |              | ფერი: გამჭვირვალე სუნი: უსუნო<br>გემო: მტკნარი   |                    |
| (Na+K)+                       | 0,032                      | 1,377   | 36           | წყალბად-იონების კონცენტრაცია<br>PH:  | 6,7                |
| Ca <sup>2+</sup>              | 0,037                      | 1,850   | 48           | შშრალი ნაშთი:  | 0,21 გ/ლ           |
| Mg <sup>2+</sup>              | 0,008                      | 0,650   | 17           | საერთო სიხისტე:<br>კარბონატული: მუდმივი:   | 2,5 მგ.ექვ./ლ;     |
| ჯამი                          | 0,076                      | 3,88  | 100          |  | 1,2 მგ.ექვ./ლ;     |
| ანიონები                      |                            |   |              |  | 1,3 მგ.ექვ./ლ;     |
| Cl <sup>-</sup>               | 0,018                      | 0,500   | 13           | თავისუფალი CO <sub>2</sub>   | 14,5 მგ/ლ          |
| SO <sub>4</sub> <sup>2-</sup> | 0,047                      | 0,977   | 25           | აგრესიული CO <sub>2</sub>  | არ აღმოჩნდა;       |
| HCO <sub>3</sub> <sup>-</sup> | 0,146                      | 2,400   | 62           | ამონიუმბი (NH <sub>4</sub> <sup>+</sup> ):   | 0,04 მგ/ლ          |
| ჯამი                          | 0,211                      | 3,88  | 100          | ნიტრატი (NO <sub>3</sub> <sup>-</sup> ):   | 4,9 მგ/ლ           |
| M გ/ლ                         | 0,288                      | კურლოვის ფორმულა:                             |              | ნიტრიტი (NO <sub>2</sub> <sup>-</sup> ):   | 1,7 მგ/ლ           |
| ანალიზის შემსრულებელი:        |                            | მ. მარდაშოვა                                  |              | M<br>HCO <sub>3</sub> 62 SO <sub>4</sub> 25 Cl <sub>15</sub><br>0.29 Ca48(Na + K)36 Mg17 | თარიღი: 20.06.2018 |

წყლის აგრესიულობის ხარისხი ბეტონის მიმართ

| რიგითი № | გამონამუშევრის № | ნიმუშების აღების სიღრმე, მ | აგრესიულობის მაჩვენებლები               | წყლის აგრესიულობის ხარისხი ნაგებობებისადმი       |     |     |  |     |     |  |  |
|----------|------------------|----------------------------|---|--|-----|-----|--|-----|-----|--|--|
|          |                  |                            |   | განლაგებულ ქანებში<br>KK <sub>გ</sub> >0.1მ/დღ.ღ |     |     | განლაგებულ ქანებში<br>KK <sub>ს</sub> <0.1მ/დღ.ღ |     |     |  |  |
|          |                  |                            |   | ბეტონის მარკა წყალშელწევადობის მიხედვით          |     |     |  |     |     |  |  |
|          |                  |                            | W 4                                     | W 6  | W 8 | W 4 | W 6  | W 8 |     |  |  |
| 1        | ქაბურღილი        | 0,00                       | ბიკარბონატული სიხისტე, მგ.ექვ/ლ         | არა  | არა | არა | არა  | არა | არა |  |  |
|          |                  |                            | წყალბადიონის მაჩვენებელი                | არა  | არა | არა | სუსტი  | არა | არა |  |  |
|          |                  |                            | აგრესიული ნახშირმჟავას შემცველობა, მგ/ლ | -  | -   | არა | -  | -   | არა |  |  |
|          |                  |                            | მაგნეზიალური მარილების შემცველობა, მგ/ლ | არა  | არა | არა | არა  | არა | არა |  |  |
|          |                  |                            | ამონიუმის მარილების შემცველობა, მგ/ლ    | არა  | არა | არა | არა  | არა | არა |  |  |
|          |                  |                            | მაღალი ტუტიალობის შემცველობა, მგ/ლ      | არა  | არა | არა | არა  | არა | არა |  |  |
|          |                  |                            | სულფატები ბეტონებისათვის                |  |     |     |  |     |     |  |  |
|          |                  |                            | პორტლანდცემენტი (ГОСТ10178-76)          | არა  | არა | არა | არა  | არა | არა |  |  |
|          |                  |                            | წიდაპორტლანდცემენტი                     | არა  | არა | არა | არა  | არა | არა |  |  |
|          |                  |                            | სულფატმედეგი ცემენტი                    | არა  | არა | არა | არა  | არა | არა |  |  |

გარემოს აგრესიული ზემოქმედების ხარისხი მეტალის კონსტრუქციებზე

| რიგითი № | გამონამუშევრის № | ნიმუშების აღების სიღრმე, მ | წყლის აგრესიული ზემოქმედების ხარისხი რკინა-ბეტონის კონსტრუქციის არმატურაზე |                       | გარემოს აგრესიული ზემოქმედების ხარისხი ნახშირბადიან ფოლაღზე, გრუნტის წყლის დონის დაბლა იმ ქანებისათვის რომელთა ფილტრაციის კოეფიციენტი >0.1მ/დღე-ღამე |
|----------|------------------|----------------------------|--|-----------------------|--|
|          |                  |                            | მუდმივად წყალში  | პერიოდულად დასველებით |  |
| 1        | ქაბურღილი        | 50-60                      | არა  | სუსტი                 | საშუალო  |

წყლის სინჯის ანალიზის შედეგები

წყლის ფიზიკური მახასიათებლები სრულიად დამაკმაყოფილებელია: გამჭვირვალე, უსუნო, გემოთი - მტკნარი და სასიამოვნო. საერთო მინერალიზაციის მაჩვენებლით -  $M = 0.29$  გ/ლ წყალი მტკნარი წყლების კატეგორიას მიეკუთვნება. ქიმიურ შედეგნილობაში ანიონებიდან აბსოლუტური დომინანტია ჰიდროკარბონატ-იონი ( $\text{HCO}_3^-$ ), შემცველობით - 2.4 მგ. ექვ./ლ. შესაბამისად, წყლის ქიმიური შედეგნილობა (კურლოვის ფორმულა) გამოისახება, როგორც ჰიდროკარბონატულ-სულფატურ-ქლორიდული კალციუმიან-ნატრიუმიან-მაგნიუმიანი ტიპი. დაბალი მინერალიზაციის შესაბამისად დაბალია საერთო სიხისტის მაჩვენებელი - 2.5 მგ. ექვ/ლ, რომლის მეტი ნაწილი - 1.2 მგ.ექვ/ლ კარბონატულ სიხისტეზე მოდის. რეაქცია ნეიტრალურია -  $\text{pH} = 6.7$ . დადებითი მომენტი, რომ სინჯი გამაჭუჭყიანებელ აზოტოვან ნაერთებს (ამონიუმს -  $\text{NH}_4^+$ , ნიტრატებს -  $\text{NO}_3^-$ , ნიტრიტებს -  $\text{NO}_2^-$ ) მცირე რაოდენობით შეიცავს. ქლორის ოდნავ მომატებული შემცველობა ადგილობრივ გაჭუჭყიანებაზე მიუთითებს.

ამრიგად, თუ შემოკლებული ანალიზის ზემოთ მოცემული ინტერპრეტაციის მიხედვით ვიმსჯელებთ, აღნიშნული ანალიზის შედეგით განსახილველი წყალი სასმელი წყლისადმი წაყენებულ მოთხოვნას პასუხობს. თუმცა, მდგომარეობის საბოლოოდ გამოსარკვევად აუცილებელია ჩატარდეს ბაქტერიოლოგიური ანალიზი.

საშუალო ხარისხის აგრესიულობა აღინიშნება მხოლოდ ნახშირბადიან ფოლადზე ზემოქმედებისას. რკინა-ბეტონის კონსტრუქციებზე ზემოქმედებისას სუსტ აგრესიულობას ექნება ადგილი წყალში პერიოდულად დასველებისას. მუდმივი დასველების პირობებში განსახილველი წყლოვანი გარემო რკინა-ბეტონის კონსტრუქციების მიმართ აგრესიული არ არის. რაც შეეხება აგრესიულ ზემოქმედებას სხვადასხვა მარკის ბეტონის მიმართ, აქ ვლინდება სუსტი აგრესიულობა W<sub>4</sub> მარკის ბეტონზე, როდესაც ნაგებობა განლაგებულია ისეთ ქანებში, რომელთა ფილტრაციის კოეფიციენტი -  $K < 0.1$  მ/დღ.დ.

ანალიტიკოსი

მ. მარდაშოვა



### 5.3 დანართი 3. გეოფიზიკური კვლევები

#### 5.3.1 საინფორმაციო გვერდი

წინამდებარე ანგარიში ეხება ასპინძისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებში მშენებარე

„მტკვარი ჰესის“ სადერივაციო გვირაბის, სოფ. რუსთავის მონაკვეთზე ჩატარებული გეოფიზიკური გამოკვლევის შედეგებს. კერძოდ, გრუნტის ამგები ქანების სიმკვრივეების, სახეების და სიღრმეების დასადგენად ჩატარებული ელექტრომეტრული და გრავიმეტრული გამოკვლევების შედეგებს. ამ პროექტის განსახორციელებლად საველე სამუშაო ჩატარებულია ექსპერტ გეოფიზიკოსთა ჯგუფის მიერ ა.წ. 25 აგვისტოდან და 20 სექტემბრამდე.

**რეფერატი:** გეოფიზიკური კვლევები ჩატარდა სამცხეს რეგიონში, ასპინძის მუნიციპალიტეტის, სოფ. რუსთავთან, სადერივაციო გვირაბის განთავსების ტერიტორიაზე. სიღრმეში გრუნტის აგებულების შესწავლისა და მასში სავარაუდო წყლის არსებობის გამოსავლენად.

ტექნიკური დავალების მიხედვით შერჩეულ ფართზე (დაახლოებით 920x80მ) განხორციელებულ იქნა გეოფიზიკური სამუშაოები ელექტროდიებისა და გრავიდიების მეთოდებით. ანგარიშში მოყვანილია ჩატარებული კვლევების შედეგების ანალიზი, აგებულია წინალობათა და სიმკვრივეების განაწილების მრუდები, გეოელექტრული და გრავიმეტრული ჭრილები. ტექსტის ბოლოში მოცემულია შესაბამისი დასკვნები დღიური ზედაპირიდან ქვემოთ გამოყოფილი გრუნტის ამგები შრეების სახეობისა, მათი სავარაუდო სიმძლავრეებისა და შესაბამისად მათი ჩაწოლის სიღრმეების შესახებ.

**საკვანძო სიტყვები:** სადერივაციო გვირაბი, გეოფიზიკური კვლევა, ელექტროდიება, გრავიმეტრული ძიება, ვერტიკალური ელექტრული ზონდირება (ვეზ), შედეგების ინტერპრეტაცია, მოჩვენებითი კუთრი ელექტრული წინალობა, ქანების სიმკვრივე, შრეების ჩაწოლის სიღრმე.

#### 5.3.2 შესავალი

წინამდებარე ანგარიშში მოცემულია ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. რუსთავის მიმდებარედ მშენებარე „მტკვარი ჰესის“ სადერივაციო გვირაბის გასწვრივ, ამგები გრუნტის სიმკვრივეების, მათი სახეების და სიღრმეების დასადგენად ჩატარებული გეოფიზიკური გამოკვლევების შედეგები.

ქვემოთ მოყვანილია სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს სამცხის რაიონის ზოგადი ბუნებრივი პირობების დახასიათება, შემდეგ კი საკვლევი უბნების ადმინისტრაციული კუთვნილება, ასევე მოკლე ტექნიკურ-ეკონომიური და გეოლოგიურ-ტექტონიკური დახასიათება და ბოლოს, ჩატარებულ სამუშაოთა მოცულობები, მათი განაწილება ზედაპირზე, შედეგების ინტერპრეტაცია და სავარაუდო დასკვნები

საველე სამუშაოები ჩატარეს და მიღებული მასალების დამუშავება, შედეგების ინტერპრეტაცია და საბოლოო ანგარიში შეადგინეს ინჟინერ-გეოფიზიკოსებმა: მამუკა ჯახუტაშვილმა, გურამ ქუთელიამ, ბეჟან ასანიძემ და ამ ჯგუფის დამხმარე ტექნიკურმა პერსონალმა.

### 5.3.3 გეოფიზიკური კვლევის ამოცანა, სამუშაოს მეთოდთა, ტექნიკა და მოცულობა

დასახული საინჟინრო-გეოლოგიური ამოცანის გადასაწყვეტად გამოყენებული იყო ელექტრომეტრიული და გრავიმეტრიული კვლევის მეთოდები. ელექტრომეტრიული კვლევის მეთოდებიდან გამოყენებული იყო ვერტკალური ელექტრიული ზონდირების მეთოდი (ვეზ), ხოლო გრავიმეტრიული მეთოდი მარშრუტული აგეგმვა. აღნიშნული მეთოდებით კვლევები ჩატარდა ძირითადად სამი პროფილის გასწვრივ. ამ პროფილებიდან ერთი (პროფილი 2) მშენებარე გვირაბის ღერძის გასწვრივ არის გატარებული, ხოლო ორი კი - მის აღმოსავლეთ (პროფილი 3) და დასავლეთ (პროფილი1) მხარეს 40-40 მეტრის დაშორებით (სქემა 1). ამ კვლევის შედეგების საფუძველზე შესაძლებელია კუთრი ელექტრიული წინააღობის და სიმკვრივის მიხედვით გრუნტის ამგები ნაწილების დიფერენცირება, სხვადასხვა წინააღობის მქონე შრეების (ჰორიზონტების) გამოყოფა და შესაბამისი გეოელექტრიული სვეტების და ჭრილების აგება.

**ელექტრომეტრიული კვლევის მეთოდით** სავსე კვლევებისას გამოყენებული იყო ისრიანი ავტომატური ელექტროკომპენსატორი АЭ-72, რომლის სამუშაო სქემაში გამოყენებულია ტრანზისტორული გამაძლიერებელი. მუშაობის დროს მუდმივი დენის წყაროდ გამოყენებული იყო 12 ვოლტიანი აკუმულატორი თავისი გარდამქმნელით, სადენებად კი – სავსე სატელეფონო კაბელი, რომელსაც გააჩნია დიდი მექანიკური გამძლეობა, კარგი იზოლაცია და დაბალი ელექტრიული წინააღობა. მკვებავი ხაზის დამიწებისათვის გამოყენებული იყო რკინის ელექტროდები, ხოლო მიმღებ წრედში – სპილენძის ელექტროდები, რომელთა წინააღობა რკინის ელექტროდებთან შედარებით ბევრად ნაკლებია.

სავსე კვლევისას ხელსაწყო საშუალებით მკვებავ და მიმღებ წრედებში იზომებოდა პოტენციალთა სხვაობა ( $\Delta U$ ) და დენის ძალა (I). ამის შემდეგ დანადგარის კოეფიციენტის (K) გათვალისწინებით ხდებოდა გარემოს მოჩვენებითი ხვედრითი ელექტრიული წინააღობის ( $\rho_a$ ) მნიშვნელობათა გამოთვლა ფორმულით:

$$\rho_a = K \cdot \Delta U / I$$

მკვებავ ელექტროდებს შორის მაქსიმალური გაშლა (AB/2) შეადგენდა 250 მეტრს, რაც სრულიად უზრუნველყოფდა შესწავლილ უბნებზე დღიური ზედაპირიდან 150 მ სიღრმემდე არსებული ფენების გამოყოფას და დასახული საინჟინრო-გეოლოგიური ამოცანის გადაწყვეტის საშუალებას.

მოჩვენებითი კუთრი ელექტრიული წინააღობის ( $\rho_a$ ) რიცხვითი მნიშვნელობების საფუძველზე თვითოეული ელექტრიული ზონდირების წერტილისთვის აგებულია ამ წინააღობის ( $\rho_a$ ) სიღრმის მიხედვით ცვლილების მრუდები.

მიღებული მონაცემების ხარისხობრივი ინტერპრეტაციის შედეგების გათვალისწინებით და სპეციალური კომპიუტერული პროგრამის (IPI2WIN) გამოყენებით, განხორციელებულია ვერტიკალური ელექტრიული ზონდირების მონაცემთა რაოდენობრივი ინტერპრეტაცია, რომლის გამოყენებით თვითოეული უბნისათვის აგებული იქნა გეოელექტრიული სვეტები და ჭრილები (იხ. ნახ. ნახ, 32-37).

ცხრილი 5.3.3.1-ში მოცემულია ვეზ-ის დაკვირვების წერტილების კოორდინატები პროფილების მიხედვით.

#### ცხრილი 5.3.3.1

| უბანი    | ვეზ-ის ნომერი | აღმოსავლეთის კოორდინატი | ჩრდილოეთის კოორდინატი |
|----------|---------------|-------------------------|-----------------------|
| პროფილი1 | 18            | 345138                  | 4610029               |
| პროფილი1 | 22            | 345131                  | 4610145               |
| პროფილი1 | 24            | 345148                  | 4609757               |
| პროფილი1 | 28            | 345129                  | 4610006               |


|           |    |        |         |
|-----------|----|--------|---------|
| პროფილი 1 | 29 | 345156 | 4609543 |
| პროფილი 1 | 30 | 345157 | 4609395 |
| პროფილი 2 | 1  | 345169 | 4610152 |
| პროფილი 2 | 2  | 345170 | 4610108 |
| პროფილი 2 | 3  | 345169 | 4610066 |
| პროფილი 2 | 4  | 345170 | 4610042 |
| პროფილი 2 | 6  | 345172 | 4609995 |
| პროფილი 2 | 7  | 345173 | 4609954 |
| პროფილი 2 | 8  | 345183 | 4609895 |
| პროფილი 2 | 9  | 345181 | 4609767 |
| პროფილი 2 | 10 | 345185 | 4609630 |
| პროფილი 2 | 11 | 345177 | 4609538 |
| პროფილი 2 | 12 | 345169 | 4609496 |
| პროფილი 2 | 13 | 345178 | 4609444 |
| პროფილი 2 | 14 | 345182 | 4609393 |
| პროფილი 2 | 15 | 345187 | 4609359 |
| პროფილი 2 | 16 | 345210 | 4609313 |
| პროფილი 2 | 17 | 345187 | 4609253 |
| პროფილი 2 | 20 | 345169 | 4610022 |
| პროფილი 2 | 27 | 345179 | 4609809 |
| პროფილი 3 | 19 | 345198 | 4610024 |
| პროფილი 3 | 21 | 345206 | 4610163 |
| პროფილი 3 | 23 | 345215 | 4609871 |
| პროფილი 3 | 25 | 345213 | 4609788 |
| პროფილი 3 | 26 | 345220 | 4609606 |
| პროფილი 3 | 31 | 345229 | 4609498 |
| პროფილი 3 | 32 | 345226 | 4609408 |

**5.3.4 ჩატარებული გეოფიზიკური კვლევის შედეგები და მათი ინტერპრეტაცია.**

**ელექტრომეტრული კვლევის შედეგები**

ელექტრომიტებითი სამუშაოები ჩატარებულ იქნა სამი პარალელური პროფილის გასწვრივ.

ვერტიკალური ელექტრული ზონდირების (ვეზ) დაკვირვების წერტილებში მიღებული შედეგები განხილულია ქვემოთ, ხოლო მათი მდებარეობა მოცემულია სქემაზე.




**სქემა 5.3.4.1. ვეზ-ის წერტილების განლაგება საკვლევ უბანზე**

ვეზ 1-ის კვლევის შედეგები. ამ ჭრილში დღიური ზედაპირიდან ქვემოთ, 170 მეტრამდე სიღრმეში

6 განსხვავებული წინაღობის ფენი (შრე) გამოიყო (ნახ. 5.3.4.1).

**პირველი გეოფიზიკური შრის** მოჩვენებითი კუთრი ელექტრული წინაღობა ( $\rho_a$ ) 200ომმ- ს შეადგენს, ხოლო მისი სიმძლავრე დღიური ზედაპირიდან ქვემოთ 2,5 მეტრამდეა. ლითოლოგიურად ის უნდა შეესაბამებოდეს ამ ადგილას გავრცელებული ფერდობული ნალექების სულ ზედა - ჰუმუსური ნიადაგით გამდიდრებულ და კლდოვანი ქანის ნატეხების ნარევით წარმოდგენილ თიხიან ფენას, რომელშიც მცირე რაოდენობით ჩრდილოეთით არსებულ ქედის ამგები ძირითადი ქანების გადანარცხი ქვიშის მასალაც ურევია.



ნახ.1. ვეზ 1-ის გეოელექტრული სვეტი

**მეორე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა 110 ომმ-ის ტოლია, იწყება 2,5 მეტრიდან და ვრცელდება 18 მეტრამდე. ეს შრე უნდა შეესაბამებოდეს კარგად დახარისხებული ტერიგენული ქანებით წარმოდგენილ დასტას, რომელიც კოლუვიურ მასალას ნაკლები რაოდენობით შეიცავს, მაგრამ წვრილფრაქციული მასალა და ტენშემცველობაც მეტი უნდა იყოს.

**მესამე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა 55 ომმ-ის ტოლია, იწყება 18 მეტრიდან და ვრცელდება 88 მეტრამდე. ჩვენი ვარაუდით ეს შრე უნდა შეესაბამებოდეს ამ რეგიონში გავრცელებული ვულკანოგენური ან ვულკანოგენ-დანალექი წარმოშობის ქანებს, რომელიც შეიძლება მომატებული ტენიანობითაც ხასიათდებოდეს. **მეოთხე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა ძალიან დაბალია და 10 ომმ-ის ფარგლებში იცვლება. ის იწყება 88 მეტრიდან და ვრცელდება 148 მეტრამდე. ამ მონაცემების მიხედვით ეს ფენი მომატებული სიმკვრივის ქანების ერთობლიობით უნდა იყოს წარმოდგენილი. ამავე დროს ისინი ძლიერ დანაპრალიანებული და მაღალი ტენშემცველობით უნდა ხასიათდებიდეს.

**მეხუთე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა მკვეთრად იზრდება და 1200 ომმ-ის ფარგლებში იცვლება. ის იწყება 148 მეტრიდან და ვრცელდება სიღრმეში ისე, რომ მისი ქვედა სიღრმე არ შემოიფარგლება. ამ მონაცემების მიხედვით ეს ფენი უფრო მაღალი სიმკვრივის და ნაკლები ბზარიანობით, ასევე ნაკლები ტენშემცველობით უნდა ხასიათდებოდეს. ის შესაძლებელია უფრო სადი ვულკანოგენური ქანებით იყოს წარმოდგენილი და ეს სიღრმე (150მ) უკვე ამ ადგილზე არსებულ ლითოლოგიურ კონტაქტს შეესაბამებოდეს.

**ვეზ2-ის კვლევის შედეგები.** ამ ადგილას დღიური ზედაპირიდან ქვემოთ, 160 მ-მდე სიღრმეში 4 განსხვავებული წინაღობის ფენი (შრე) გამოიყო (ნახ.2).

**პირველი გეოფიზიკური შრის** მოჩვენებითი კუთრი ელექტრული წინაღობის ( $\rho_m$ )-ის მნიშვნელობა 170ომმ-ს შეადგენს, ხოლო მისი სიღრმე 2,7 მეტრამდეა. ლითოლოგიურად ის უნდა შეესაბამებოდეს ამ ადგილას გავრცელებული ფერდობული ნალექების სულ ზედა ჰუმუსური ნიადაგით გამდიდრებულ და კლდოვანი ქანის ნატეხების ჩანართებით წარმოდგენილ თიხიან-ქვიშიან ფენას.

**მეორე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა 120 ომმ-ის ფარგლებშია, იწყება 2,5 მეტრიდან და ვრცელდება 40 მეტრამდე. ეს შრე აქაც უნდა შეესაბამებოდეს კარგად დახარისხებული ტერიგენული ქანებით წარმოშობილ დასტას რომელიც კოლუვიურ მასალას ძალიან ნაკლები რაოდენობით შეიცავს, მაგრამ წვრილფრაქციული მასალა მასში მეტი კონცენტრაციით უნდა იყოს წარმოდგენილი და ტენშემცველობაც მომატებული უნდა იყოს.

**მესამე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა ძალიან დაბალია. ის 5 ომმ-ის ტოლია, იწყება 40 მეტრიდან და ვრცელდება ქვემოთ 145 მეტრამდე. ჩვენი ვარაუდით ეს შრე უნდა შეესაბამებოდეს

ძალიან მკვრივი ქანებით წარმოდგენილ დასტას, რომელიც შეიძლება ძლიერი ნაპრალოვნებითაც ხასიათდებოდეს. ასევე სავარაუდოდ მასში ტენიანობაც შეიძლება იყოს ძალიან მაღალი.

**მეოთხე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა ძალიან მომატებულია. ის 1100 ომმ-ის ტოლია, იწყება 145 მეტრიდან და ვრცელდება ქვემოთ სიღრმეში ისე, რომ შესწავლილ სიღრმემდე შემოსაზღვრული არ არის. ჩვენი ვარაუდით ეს შრე უნდა შეესაბამებოდეს ძალიან მკვრივ და საღი სტრუქტურის მქონე ქანების დასტას და ასევე სავარაუდოდ მასში ტენიანობაც შეიძლება იყოს ძალიან მაღალი.



ნახ.2. ვეზ 2-ის გეოელექტრული სვეტი

**ვეზ3-ის ვლევის შედეგები.** ამ ადგილზე დღიური ზედაპირიდან ქვემოთ, 170 მეტრამდე სიღრმეში, 4 განსხვავებული წინალობის ფენი (შრე) გამოიყო (ნახ.3).

**პირველი გეოფიზიკური შრის** მოჩვენებითი კუთრიელექტრული წინალობის ( $\rho_a$ ) მნიშვნელობა 200 ომმ-ს შეადგენს, ხოლო მისი სიმძლავრე 3 მეტრამდეა. ლითოლოგიურად ის უნდა შეესაბამებოდეს ამ ადგილას გავრცელებული ფერდობული ნალექების სულ ზედა, ჰუმუსური ნიადაგით გამდიდრებულ და კლდოვანი ქანის ნატეხების ჩანართებით წარმოდგენილ თიხის ფენას, რომელშიც ქვიშნარიც არის მცირე რაოდენობით გამოჩენილი.

**მეორე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა 130 ომმ-ის ტოლია, იწყება 3 მეტრიდან და ვრცელდება 30 მეტრამდე. ეს შრე უნდა შეესაბამებოდეს კარგად ახარისხებული ტერიგენული ქანებით წარმოდგენილ დასტას, რომელიც კოლუვიურ მასალას ნაკლები რაოდენობით შეიცავს, მაგრამ მასში წვრილფრაქციული მასალა მეტი კონცენტრაციით უნდა იყოს წარმოდგენილი და მასში ტენიანობაც მეტი უნდა იყოს ვიდრე ზედა შრეში.



ნახ.3. ვეზ 3-ის გეოელექტრული სვეტი

**მესამე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა 25 ომმ-ის ტოლია, იწყება 30 მეტრიდან და ვრცელდება 150 მეტრამდე. ჩვენი ვარაუდით ეს შრე უნდა შეესაბამებოდეს ამ რეგიონში გავრცელებული წმინდა და საშუალო ზომის ტერიგენული მასალით წარმოდგენილ ქანებს, რომელიც შეიძლება სიღრმეში ძლიერი ნაპრალოვნებითაც ხასიათდებოდეს. ასევე მასში ტენიანობაც შეიძლება ძალიან იყოს მომატებული.

**მეოთხე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა ძალიან დაბალია და 2-5 ომმ-ის ფარგლებში იცვლება. ის იწყება 150 მეტრიდან და ვრცელდება სიღრმეში ისე, რომ ქვემოდან შემოსაზღვრული არ არის. ამ მონაცემების მიხედვით ეს ფენი ისევ ტერიგენული წარმოშობის, მაგრამ ნაკლები სიმკვრივის შრეების მორიგეობით უნდა იყოს წარმოდგენილი. ამავე დროს ეს ფენიც ძლიერი ნაპრალოვნებით და მაღალი ტენიანობით უნდა ხასიათდებოდეს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ მონაცემებით ამ ადგილას უფრო მკვეთრად გამოყოფილი სისხლის და სიმკვრივის დასტა შესწავლილ სიღრმემდე არ გამოიყოფა.

**ვეზ4-ის კვლევის შედეგები.** ამ ჭრილში დღიური ზედაპირიდან ქვემოთ, 160 მეტრამდე სიღრმეში, 6 განსხვავებული წინალობის ფენი (შრე) გამოიყო (ნახ.4).

**პირველი გეოფიზიკური შრის** მოჩვენებითი კუთრი ელექტრული წინაღობის მნიშვნელობა ( $\rho_a$ ) 140 ომმ-ს შეადგენს, ხოლო მისი სიმძლავრე დღიური ზედაპირიდან ქვემოთ 4,5 მეტრამდეა. ამ ადგილზეც ლითოლოგიურად ის უნდა შეესაბამებოდეს აქ გავრცელებული ფერდობული ნალექების სულ ზედა - ჰუმუსური ნიადაგით გამდიდრებულ და კლდოვანი ქანის ნატეხების ჩანართებით წარმოდგენილ თიხიან ფენას, რომელშიც მცირე რაოდენობით ჩრდილოეთით არსებული ქანების გადანარცხი ქვიშის მასალაც ურევია.



**ნახ.4.** ვეზ 4-ის გეოელექტრული სვეტი

**მეორე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$ -ის მნიშვნელობა 400 ომმ-ის ტოლია, იწყება 4,4 მეტრიდან და ვრცელდება 8 მეტრამდე. ეს შრე უნდა შეესაბამებოდეს კარგად ახარისხებული ტერიგენული ქანებით წარმოდგენილ დასტას, რომელშიც კოლუვიური მასალა მცირე რაოდენობით ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი, მაგრამ წვრილფრაქციული მასალა მეტი კონცენტრაციით უნდა იყოს მასში და ტენშემცველობაც გაცილებით ნაკლები.

**მესამე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა 340 ომმ-ის ტოლია, იწყება 8 მეტრიდან და ვრცელდება 17 მეტრამდე. ჩვენი ვარაუდით ეს შრე უნდა შეესაბამებოდეს ამ რეგიონში გავრცელებული წვრილი და უფრო მკვრივი სტრუქტურის ტერიგენული მასალით წარმოდგენილ ქანებს და მათში სავარაუდოდ ტენიანობაც შეიძლება მეტი იყოს ვიდრე ზედა ფენში.

**მეოთხე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა ძალიან დაბალია და 40 ომმ-ის ფარგლებში იცვლება. ის იწყება 17 მეტრიდან და ვრცელდება 38 მეტრამდე. ამ მონაცემების მიხედვით ეს ფენი მომატებული სიმკვრივის შრეების ერთობლიობით უნდა იყოს წარმოდგენილი. ამავე დროს ის ძლიერ დანაპრალიანებული უნდა იყოს და ოდნავ მაღალი ტენშემცველობით უნდა ხასიათდებოდეს.

**მეხუთე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა ისევ დაბალია და 8 ომმ-ის ფარგლებში იცვლება. ის იწყება 38 მეტრიდან და ვრცელდება 140 მეტრამდე. ამ მონაცემების მიხედვით ეს ფენი უფრო მაღალი სიმკვრივის, მაგრამ მომატებული ბზარიანობის ქანების და მაღალი ტენიანობის შესაბამისია, ვიდრე მეხუთე ფენი.

**მექვსე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა მცირედ იზრდება და 25 ომმ-ის ფარგლებში იცვლება. ის იწყება 140 მეტრიდან და ვრცელდება ქვემოთ ისე, რომ მისი ქვედა საზღვარი შესწავლილ სიღრმემდე არ შემოიფარგლა. ამ მონაცემების მიხედვით ეს ფენი უფრო მაღალი სიმკვრივის და ნაკლები ბზარიანობის ფენის შესაბამისია და ის ნაკლები ტენშემცველობით უნდა ხასიათდებოდეს ვიდრე მეხუთე ფენი. ეს დონე სავარაუდოდ ლითოლოგიურ საზღვარს უნდა შეესაბამებოდეს ნაპრალოვან და საღი სტრუქტურის ქანებს შორის.

**ვეზ 20-ის კვლევის შედეგები.** ამ ადგილზეც დღიური ზედაპირიდან ქვემოთ, 150 მეტრამდე სიღრმეში 4 განსხვავებული წინაღობის ფენი გამოიყო (ნახ.5). ეს ფენები ანალოგიური მახასიათებლებით ხასიათდებიან და დაახლოებით იგივე ლითოლოგიური ჭრილი იხატება როგორც ვეზ 18 და 19-ის ადგილებზე.

**პირველი გეოფიზიკური ფენის** მოჩვენებითი კუთრიელექტრული წინაღობის ( $\rho_a$ ) მნიშვნელობა აქაც 100ომმ-ს ფარგლებშია, ხოლო მისი სიმძლავრე 3 მეტრამდეა. ლითოლოგიურად ის უნდა შეესაბამებოდეს ამ ადგილას გავრცელებული ფერდობული ნალექების სულ ზედა, ჰუმუსური ნიადაგით გამდიდრებულ თიხის ფენას, რომელშიც ქვიშაიანი მასალაც არის შერეული მცირე რაოდენობით და კლდოვანი ქანების უხეზად დამუშავებული ქვარგვალეების ჩანართებიც.

**მეორე გეოფიზიკური ფენის  $\rho_a$  მნიშვნელობა** 80 ომმ-ის ტოლია, იწყება 3 მეტრიდან და ვრცელდება 37 მეტრამდე. ჩვენი ვარაუდით ეს შრე უნდა შეესაბამებოდეს ამ ადგლის სიახლოვეს გავრცელებული წმინდა და საშუალო ზომის მარცვლებით აგებულ დანალექი წარმოშობის ქანებს, რომლებშიც ნაპრალოვნება და ტენიანობა მომატებული უნდა იყოს.

**მესამე გეოფიზიკური ფენის  $\rho_a$  მნიშვნელობა** ისევ მცირდება და ნომმ-ის ტოლია. ის იწყება 37 მეტრიდან და ვრცელდება სიღრმეში 145 მეტრამდე. ეს ფენი ისევ ტერიგენული წარმოშობის, მაგრამ ნაკლები სიმკვრივის ქანების მორიგეობით უნდა იყოს წარმოდგენილი და შეიძლება მასში ტენიანობა და ნაპრალოვნებაც მომატებული იყოს ვიდრე ზედა შრეებში.



**ნახ.5.** ვეზ 20-ის გეოელექტრული სვეტი

**მეოთხე გეოფიზიკური ფენის  $\rho_a$  მნიშვნელობა** ისევ იზრდება და 1000 ომმ-ის ტოლია. ის იწყება 145 მეტრიდან და ვრცელდება სიღრმეში ისე, რომ ქვემოდან შესწავლილ სიღრმემდე შემოსაზღვრული არ არის. ეს ფენი ისევ ტერიგენული წარმოშობის, მაგრამ მეტი სიმკვრივის ქანების მორიგეობით უნდა იყოს წარმოდგენილი. ამ მონაცემებით ეს დონე ამ ადგილას არსებულ ქანებს შორის ლითოლოგიურ საზღვარს უნდა შეესაბამებოდეს.

**ვეზნ-ის კვლევის შედეგები.** ამ ადგილზეც დღიური ზედაპირიდან ქვემოთ, 150 მეტრამდე სიღრმეში 5 განსხვავებული წინალობის ფენი გამოიყო ნახ.6.

**პირველი გეოფიზიკური შრის** მოჩვენებითი კუთრი ელექტრული წინალობა ( $\rho_a$ ) 210ომმ- ს შეადგენს, ხოლო მისი სიმძლავრე 2 მეტრამდეა. ლითოლოგიურად ის უნდა შეესაბამებოდეს ამ ადგილას გავრცელებული ფერდობული ნალექების სულ ზედა ჰუმუსური ნიადაგით გამდიდრებულ და კლდოვანი ქანის ნატეხების ჩანართებით წარმოდგენილ თიხიან ფენას, რომელშიც მცირე რაოდენობით გამორეულია ჩრდილოეთით არსებული ძირითადი ქანების გადანარევი ქვიშნარი მასალაც.



**ნახ.6.** ვეზ 6-ის გეოელექტრული სვეტი

**მეორე გეოფიზიკური შრის  $\rho_a$  მნიშვნელობა** 125 ომმ-ის ფარგლებშია, იწყება 2 მეტრიდან და ვრცელდება 11 მეტრამდე. ეს ფენი უნდა შეესაბამებოდეს აქ გავრცელებულ ისევ კოლუვიურ ნალექებს, რომელიც სავარაუდოდ წარმოდგენილია თიხის მასალით და მასში მცირე რაოდენობის ქვიშნარის ნარევით და ისევ კლდოვანი ქანების ნატეხების ჩანართებით წარმოდგენილ ფენა, რომელშიც ტენიანობა უფრო ნაკლებია, ვიდრე ზედა ფენში.

**მესამე გეოფიზიკური შრის  $\rho_a$  მნიშვნელობა** 74 ომმ-ის ტოლია, იწყება 11 მეტრიდან და ვრცელდება 37 მეტრამდე. ეს ფენი აქაც უნდა შეესაბამებოდეს კარგად ახარისხებული ტერიგენული მასალით აგებული ქანების ერთობლიობას, რომელშიც კოლუვიური მასალა ნაკლები რაოდენობით უნდა იყოს წარმოდგენილი და ტენშემცველობა კი გაცილებით მომატებული.

**მეოთხე გეოფიზიკური შრის  $\rho_a$  მნიშვნელობა** ძალიან დაბალია, 2-3 ომმ-ის ფარგლებში იცვლება. ის იწყება 37 მეტრიდან და ვრცელდება 135 მეტრამდე. ჩვენი ვარაუდით ეს შრე უნდა შეესაბამებოდეს ამ რეგიონში გავრცელებული წვრილი და საშუალო მარცვლოვანი ტერიგენული მასალით აგებულ ქანებს. ამასთან მათში გაზრდილი უნდა იყოს ნაპრალოვნება

და მომატებული უნდა იყოს ტენშემცველობაც.

**მეხუთე გეოფიზიკური შრის  $\rho_a$ -ის მნიშვნელობა** მომატებულია და 490 ომმ-ის ფარგლებში იცვლება. ის იწყება 135 მეტრიდან და ვრცელდება სიღრმეში ისე, რომ შესწავლილ სიღრმემდე ქვემოდან შემოსაზღვრული არ არის. ამ მონაცემების მიხედვით ეს ფენი უფრო მომატებული სიმკვრივის და ნაკლები ტენშემცველი ქანების ერთობლიობით უნდა იყოს წარმოდგენილი და ის უკვე ლითოლოგიურ საზღვარს უნდა შეესაბამებოდეს.

**ვეზ7-ის კვლევის შედეგები.** ამ ადგილზეც დღიური ზედაპირიდან ქვემოთ, 150 მეტრამდე სიღრმეში 5 განსხვავებული წინაღობის ფენი გამოიყო (ნახ.7).

**პირველი გეოფიზიკური შრის** მოჩვენებითი კუთრი ელექტრული წინაღობის ( $\rho_a$ ) მნიშვნელობა 90 ომმ-ს შეადგენს, ხოლო მისი სიმძლავრე 2 მეტრამდეა. ლითოლოგიურად ის უნდა შეესაბამებოდეს ამ ადგილას გავრცელებული ფერდობული ნალექების სულ ზედა ჰუმუსური ნიადაგით გამდიდრებულ და კლდოვანი ქანის ნატეხების ჩანართებით წარმოდგენილ თიხიან ფენას, რომელშიც მცირე რაოდენობით გამორეულია ჩრდილოეთით არსებული ძირითადი ქანების გადანარეცი ქვიშნარი მასალაც.



ნახ.7. ვეზ 7-ის გეოელექტრული სვეტი

**მეორე გეოფიზიკური შრის  $\rho_a$  მნიშვნელობა** 220 ომმ-ის ფარგლებშია, იწყება 2 მეტრიდან და ვრცელდება 3,4 მეტრამდე. ეს ფენი უნდა შეესაბამებოდეს აქ გავრცელებულ ისევ კოლუვიურ ნალექებს, რომელიც სავარაუდოდ წარმოდგენილია თიხის მასალით და მასში მცირე რაოდენობის ქვიშნარის ნარევი და ისევ კლდოვანი ქანების ნატეხების ჩანართები წარმოდგენილი. ამ შრეში ტენიანობა უფრო ნაკლები უნდა იყოს ვიდრე ზედა ფენში.

**მესამე გეოფიზიკური შრის  $\rho_a$  მნიშვნელობა** 35 ომმ-მდე მცირდება, იწყება 3,4 მეტრიდან და ვრცელდება 32 მეტრამდე. ეს ფენი აქაც უნდა შეესაბამებოდეს კარგად ახარისხებული ტერიგენული მასალით აგებული ქანების ერთობლიობას, რომელშიც კოლუვიური მასალა ძალიან მცირე რაოდენობით უნდა იყოს წარმოდგენილი და ტენშემცველობა კი გაცილებით მომატებული.

**მეოთხე გეოფიზიკური შრის  $\rho_a$  მნიშვნელობა** ძალიან დაბალია, 7-8 ომმ-ის ფარგლებში იცვლება. ის იწყება 32 მეტრიდან და ვრცელდება 135 მეტრამდე. ჩვენი ვარაუდით ეს ფენი უნდა შეესაბამებოდეს ამ რეგიონში გავრცელებული წვრილი და საშუალო მარცვლოვანი ტერიგენული მასალით აგებულ ქანებს. ამასთან მათში გაზრდილი უნდა იყოს ნაპრალოვნება და ძალიან მომატებული უნდა იყოს ტენშემცველობაც.

**მეხუთე გეოფიზიკური შრის  $\rho_a$ -ის მნიშვნელობა** მომატებულია და 880 ომმ-ის ფარგლებში იცვლება. ის იწყება 135 მეტრიდან და ვრცელდება სიღრმეში ისე, რომ შესწავლილ სიღრმემდე ქვემოდან შემოსაზღვრული არ არის. ამ მონაცემების მიხედვით ეს ფენი უფრო მომატებული სიმკვრივის და ნაკლები ტენიანობის შემცველი ქანების ერთობლიობით უნდა იყოს წარმოდგენილი და ამ დონიდან უკვე ლითოლოგიურ საზღვარს უნდა შეესაბამებოდეს.

**ვეზ8-ის კვლევის შედეგები.** ამ ჭრილში დღიური ზედაპირიდან ქვემოთ, 150 მეტრამდე სიღრმეში, 6 განსხვავებული წინაღობის ფენი (შრე) გამოიყო (ნახ.8).

**პირველი გეოფიზიკური შრის** მოჩვენებითი კუთრი ელექტრული წინაღობის მნიშვნელობა ( $\rho_a$ ) 180 ომმ-ს შეადგენს, ხოლო მისი სიმძლავრე დღიური ზედაპირიდან ქვემოთ 0,7 მეტრამდეა. ამ



ადგილზეც ლითოლოგიურად ის უნდა შეესაბამებოდეს აქ გავრცელებული ფერდობული ნალექების სულ ზედა - ჰუმუსური ნიადაგით გამდიდრებულ და კლდოვანი ქანის ნატეხების ჩანართებით წარმოდგენილ თიხიან ფენას, რომელშიც მცირე რაოდენობით ჩრდილოეთით არსებული ქანების გადანარეცხი ქვიშის მასალაც ურევია.

**მეორე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$ -ის მნიშვნელობა 9-10 ომმ-ის ფარგლებშია, იწყება 0,7 მეტრიდან და ვრცელდება 1,5 მეტრამდე. ეს ფენი უნდა შეესაბამებოდეს აქ გავრცელებულ ისევ კოლუვიურ ნალექებს, რომელიც სავარაუდოდ წარმოდგენილია თიხის, მცირე რაოდენობის ქვიშნარის უფრო ნაკლები სიმკვრივის ფენას, რომელშიც ტენიანობა უფრო მომატებული უნდა იყოს, ვიდრე ზედა ფენში.

**მესამე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$ -ის მნიშვნელობა 128 ომმ-ის ტოლია, იწყება 1,5 მეტრიდან და ვრცელდება 3,2 მეტრამდე. ეს შრე უნდა შეესაბამებოდეს კარგად ახარისხებული ტერიგენული ქანებით წარმოდგენილ დასტას, რომელშიც კოლუვიური მასალა მცირე რაოდენობით უნდა იყოს წარმოდგენილი, მაგრამ წვრილფრაქციული მასალა ნაკლები კონცენტრაციით უნდა იყოს მასში და ტენშემცველობაც გაცილებით ნაკლები ვიდრე ზედა ფენში.

**მეოთხე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა ისევ მცირდება 23 ომმ-მდე. ის იწყება 3,2 მეტრიდან და ვრცელდება 35 მეტრამდე. ჩვენი ვარაუდით ეს შრე უნდა შეესაბამებოდეს ამ რეგიონში გავრცელებული წვრილი და უფრო მკვრივი სტრუქტურის ტერიგენული მასალით წარმოდგენილ ქანებს და მათში სავარაუდოდ ტენიანობაც შეიძლება მომატებული იყოს ვიდრე ზედა მესამე ფენში.

**მეხუთე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა ძალიან დაბალია და 3,8-4,0 ომმ-ის ფარგლებში იცვლება. ის იწყება 35 მეტრიდან და ვრცელდება 110 მეტრამდე. ამ მონაცემების მიხედვით ეს ფენი ისევ ტერიგენული წარმოშობის, მაგრამ ნაკლები სიმკვრივის შრეების ერთობლიობით უნდა იყოს წარმოდგენილი. ამავე დროს ის ძლიერ დანაპრალიანებული უნდა იყოს დამატებული ტენშემცველობით უნდა ხასიათდებოდეს.

**მექვსე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა მცირედ მომატებულია და 39-40 ომმ-ის ფარგლებში იცვლება. ის იწყება 110 მეტრიდან და ვრცელდება სიღრმეში ისე, რომ მისი ქვედა საზღვარი 150 მეტრამდე არ შემოიფარგლა. ამ მონაცემების მიხედვით ეს ფენი უფრო მაღალი სიმკვრივის და ნაკლები ბზარიანობის ფენის შესაბამისი უნდა იყოს და ის ნაკლები ტენშემცველობით უნდა ხასიათდებოდეს ვიდრე მეხუთე ფენი. ეს დონე ამ ჭრილშიც ლითოლოგიურ საზღვარს უნდა შეესაბამებოდეს ქვედა და ზედა ფენებს შორის.



ნახ.8. ვეზ 8-ის გეოელექტრული სვეტი

**ვეზ27-ის კვლევის შედეგები.** ამ ადგილზე დღიური ზედაპირიდან ქვემოთ, 170 მეტრამდე სიღრმეში 4 განსხვავებული წინალობის ფენი გამოიყო (ნახ.9).

**პირველი გეოფიზიკური შრის** მოჩვენებითი კუთრი ელექტრული წინალობის ( $\rho_m$ ) მნიშვნელობა 40 ომმ-ს შეადგენს, ხოლო მისი სიმძლავრე 0,6 მეტრამდეა. ლითოლოგიურად ის უნდა შეესაბამებოდეს აქ გავრცელებულ კოლუვიურ ნალექებს, რომელიც წარმოდგენილია თიხის, ქვიშნარის და ძირითადი ქანების უხეშად დამუშავებულ ნატეხების ჩანართების ნარევით. ამავე დროს ეს ფენი ზედა ნაწილში გამდიდრებული უნდა იყოს ჰუმუსური ნიადაგით.

**მეორე გეოფიზიკური შრის**  $\rho_m$  მნიშვნელობა 500 ომმ-ის ფარგლებშია, იწყება 0,6 მეტრიდან და

ვრცელდება 1,3 მეტრამდე. ჩვენი ვარაუდით ეს ფენი უნდა შეესაბამებოდეს კოლუვიური ქანების ქვედა ფენას, რომელიც კენჭნარის ქვიშის და თიხნარის ერთობლიობით უნდა იყოს წარმოდგენილი. ამასთან მათში უფრო ნაკლები უნდა იყოს ტენშემცველობაც ვიდრე ზედაპირველ ფენში.

**მესამე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა ისევ იზრდება 8 ომმ-მდე. ის იწყება 1.3 მეტრიდან და ვრცელდება 100 მეტრამდე. ჩვენი ვარაუდით ეს შრე უნდა შეესაბამებოდეს

წვრილი და საშუალო ზომის მარცვლებით აგებულ საშუალო სიმკვრივის ქანებს, რომლებიც მომატებული ტენიანობით და ნაპრალოვნებით უნდა ხასიათდებოდნენ.



**ნახ.9.** ვეზ 27-ის გეოელექტრული სვეტი

**მეოთხე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა ისევ იზრდება 35 ომმ-მდე. ის იწყება 100 მეტრიდან და ვრცელდება 100 ქვემოთ ისე, რომ 160 მეტრამდე სიღრმეში შემოსაზღვრული არ არის. ჩვენი ვარაუდით ეს ფენი უნდა შეესაბამებოდეს უკვე ლითოლოიურ საზღვარს უფრო ქვემოთ მდებარე მკვრივ და ზემოთა - ნაპრალოვან და ტენმომატებულ ფენებს შორის.

**ვეზ9-ის კვლევის შედეგები.** ამ ადგილზე დღიური ზედაპირიდან ქვემოთ, 150 მეტრამდე სიღრმეში, 4 განსხვავებული წინალობის ფენი (შრე) გამოიყო (ნახ.10).

**პირველი გეოფიზიკური შრის** მოჩვენებითი კუთრი ელექტრული წინალობის ( $\rho_a$ ) მნიშვნელობა 65ომმ-ს შეადგენს, ხოლო მისი სიმძლავრე 1,5 მეტრამდეა. ლითოლოგიურად ის უნდა შეესაბამებოდეს ამ ადგილას გავრცელებული ფერდობული ნალექების სულ ზედა, ჰუმუსური ნიადაგით გამდიდრებულ და კლდოვანი ქანის იშვიათი ნატეხების ჩანართებით წარმოდგენილ თიხის ფენას, რომელშიც ქვიშნარიც არის შერეული მცირე რაოდენობით.

**მეორე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა 12ომმ-ის ტოლია, იწყება 1,5 მეტრიდან და ვრცელდება 36 მეტრამდე. ეს შრე უნდა შეესაბამებოდეს კარგად ახარისხებული ტერიგენული ქანებით წარმოდგენილ დასტას, რომელიც კოლუვიურ მასალას ნაკლები რაოდენობით შეიცავს, მაგრამ მასში წვრილფრაქციული მასალა მეტი კონცენტრაციით უნდა იყოს წარმოდგენილი და ტენშემცველობაც მეტი უნდა იყოს ვიდრე ზედა შრეში.



**ნახ.10.** ვეზ 9-ის გეოელექტრული სვეტი

**მესამე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა 2ომმ-ის ტოლია, იწყება 36 მეტრიდან და ვრცელდება 100 მეტრამდე. ჩვენი ვარაუდით ეს შრე უნდა შეესაბამებოდეს ამ რეგიონში გავრცელებული წმინდა და საშუალო ზომის მარცვლებით აგებულ ტერიგენულ ქანებს და რომლებიც შეიძლება სიღრმეში ნაპრალოვნებითაც ხასიათდებოდნენ. ასევე უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ფენში ტენიანობაც შეიძლება ძალიან იყოს მომატებული.

**მეოთხე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა ძალიან მომატებულია და 1200ომმ-ს აჭარბებს. ის იწყება 100 მეტრიდან და ვრცელდება სიღრმეში ისე, რომ ქვემოთ (150 მეტრამდე) შემოსაზღვრული არ არის. ამ მონაცემების მიხედვით ეს ფენი ისევ ტერიგენული წარმოშობის, მაგრამ მეტი სიმკვრივის ქანების მორიგეობით უნდა იყოს წარმოდგენილი. ამავე დროს


ისნაკლები ნაპრალოვნებით და ტენშემცველობით უნდა ხასიათდებოდეს. ჩვენი ვარაუდით ეს დონე ამ ადგილას ქანებს შორის ლითოლოგიურ საზღვარს უნდა შეესაბამებოდეს.

**ვეზ10-ის კვლევის შედეგები.** ამ ადგილზეც დღიური ზედაპირიდან ქვემოთ, 150 მეტრამდე სიღრმეში 5 განსხვავებული წინაღობის ფენი გამოიყო (ნახ.11).

**პირველი გეოფიზიკური შრის** მოჩვენებითი კუთრი ელექტრული წინაღობის ( $\rho_a$ ) მნიშვნელობა 30ომმ-ს შეადგენს, ხოლო მისი სიმძლავრე 0,5 მეტრამდეა. ლითოლოგიურად ის უნდა შეესაბამებოდეს ამ ადგილას გავრცელებული ფერდობული ნალექების სულ ზედა ჰუმუსური ნიადაგით გამდიდრებულ და კლდოვანი ქანის ნატეხების იშვიათი ჩანართებით წარმოდგენილ თიხიან ფენას, რომელშიც მცირე რაოდენობით გამორეულია ჩრდილოეთიდან ჩამოტანილი ძირითადი ქანების გადანარევი ქვიშარი მასალაც.

**მეორე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა 450 ომმ-ის ფარგლებშია, იწყება 0,5 მეტრიდან და ვრცელდება 1,7 მეტრამდე. ეს ფენი უნდა შეესაბამებოდეს აქ გავრცელებულ ისევ კოლუვიურ ნალექებს, რომელიც სავარაუდოდ წარმოდგენილია თიხის მასალით და მასში მცირე რაოდენობის ქვიშარის ნარევი და ისევ კლდოვანი ქანების ნატეხების ჩანართებია წარმოდგენილი. ამ შრეში ტენიანობა უფრო ნაკლები უნდა იყოს ვიდრე ზედა ფენში.

**მესამე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა 10 ომმ-მდე მცირდება, იწყება 1,5 მეტრიდან და ვრცელდება 43 მეტრამდე. ეს ფენი აქაც უნდა შეესაბამებოდეს კარგად ახარისხებული ტერიგენული მასალით აგებული ქანების ერთობლიობას, რომელშიც ნაპრალოვნება და ტენშემცველობა მომატებულია.



**ნახ.11.** ვეზ 10-ის გეოელექტრული სვეტი

**მეოთხე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა ძალიან დაბალია და 1-2ომმ-ის ფარგლებში იცვლება. ის იწყება 43 მეტრიდან და ვრცელდება 80 მეტრამდე. ჩვენი ვარაუდით ეს ფენი უნდა შეესაბამებოდეს ამ რეგიონში გავრცელებული წვრილი და საშუალო მარცვლოვანი მასალით აგებულ დანალექ ქანებს. ამასთან მათში უფრო მომატებული უნდა იყოს ნაპრალოვნება და ტენშემცველობაც ვიდრე მესამე ფენში.

**მეხუთე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$ -ის მნიშვნელობა მკვეთრად მომატებულია და 940 ომმ-ის ფარგლებში იცვლება. ის იწყება 80 მეტრიდან და ვრცელდება სიღრმეში ისე, რომ შესწავლილ სიღრმემდე ქვემოთან შემოსაზღვრული არ არის. ამ მონაცემების მიხედვით ეს ფენი უფრო მომატებული სიმკვრივის და ნაკლები ტენიანობის შემცველი ქანების ერთობლიობით უნდა იყოს წარმოდგენილი და ეს დონე უკვე ლითოლოგიურ საზღვარს უნდა შეესაბამებოდეს.

**ვეზ11-ის კვლევის შედეგები.** ამ ადგილზეც დღიური ზედაპირიდან ქვემოთ, 150 მეტრამდე სიღრმეში, 4 განსხვავებული წინაღობის ფენი გამოიყო (ნახ.12).

**პირველი გეოფიზიკური შრის** მოჩვენებითი კუთრი ელექტრული წინაღობის ( $\rho_a$ ) მნიშვნელობა 92ომმ-ს შეადგენს, ხოლო მისი სიმძლავრე 1,5 მეტრამდეა. ლითოლოგიურად ის უნდა შეესაბამებოდეს ამ ადგილას გავრცელებული ფერდობული ნალექების სულ ზედა, ჰუმუსური ნიადაგით გამდიდრებულ და კლდოვანი ქანის იშვიათი ნატეხების ჩანართებით წარმოდგენილ თიხის ფენას, რომელშიც ქვიშარიც არის შერეული მცირე რაოდენობით.

**მეორე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა 17 ომმ-ის ტოლია, იწყება 1,5 მეტრიდან და ვრცელდება 8,3 მეტრამდე. ეს შრე უნდა შეესაბამებოდეს კარგად დახარისხებული ტერიგენული

ქანებით წარმოდგენილ დასტას, რომელიც კოლუვიურ მასალას ნაკლები რაოდენობით შეიცავს, მაგრამ მასში წვრილფრაქციული მასალა მეტი კონცენტრაციით უნდა იყოს წარმოდგენილი და ტენშემცველობაც მეტი უნდა იყოს ვიდრე ზედა შრეში.

**მესამე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა 2 ომმ-ის ტოლია, იწყება 8 მეტრიდან და ვრცელდება 30 მეტრამდე. ჩვენი ვარაუდით ეს შრე უნდა შეესაბამებოდეს ამ რეგიონში გავრცელებული წმინდა და საშუალო ზომის მარცვლებით აგებულ დანალექი წარმოშობის ქანებს და რომლებიც შეიძლება სიღრმეში ნაპრალოვნებითაც ხასიათდებოდნენ. ასევე უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ფენში ტენიანობაც ძალიან იქნება მომატებული.




**ნახ.12.** ვეზ 11-ის გეოელექტრული სვეტი

**მეოთხე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა ისევ გაზარდილია და 15 ომმ-ს აჭარბებს. ის იწყება 30 მეტრიდან და ვრცელდება სიღრმეში ისე, რომ ქვემოდან (150 მ სიღრმემდე) შემოსაზღვრული არ არის. ამ მონაცემების მიხედვით ეს ფენი ისევ ტერიგენული წარმოშობის, მაგრამ მეტი სიმკვრივის ქანების მორიგეობით უნდა იყოს წარმოდგენილი. ამავე დროს ის ნაკლები ნაპრალოვნებით და ტენშემცველობით უნდა ხასიათდებოდეს, ვიდრე მეორე და მესამე ფენები. ჩვენი ვარაუდით ამ მონაცემებით ეს დონე ამ ადგილას ქანებს შორის ლითოლოგიურ საზღვარს უნდა შეესაბამებოდეს.

**ვეზ12-ის კვლევის შედეგები.** ამ ჭრილში დღიური ზედაპირიდან ქვემოთ, 150 მეტრამდე სიღრმეში 6 განსხვავებული წინალობის ფენი (შრე) გამოიყო (ნახ.13).

**პირველი გეოფიზიკური შრის** მოჩვენებითი კუთრი ელექტრული წინალობის მნიშვნელობა ( $\rho_a$ ) 70 ომმ-ის ფარგლებშია, ხოლო მისი სიმძლავრე დღიური ზედაპირიდან ქვემოთ 0,8 მეტრამდეა. ამ ადგილზეც ლითოლოგიურად ის უნდა შეესაბამებოდეს აქ გავრცელებული ფერდობული ნალექების სულ ზედა - ჰუმუსური ნიადაგით გამდიდრებულ და კლდოვანი ქანის ნატეხების იშვიათი ჩანართებით წარმოდგენილ თიხიან ფენას, რომელშიც მცირე რაოდენობით ჩრდილოეთით არსებული ქანების გადანარეცხი ქვიშის მასალაც ურევია.



**ნახ.13.** ვეზ 12-ის გეოელექტრული სვეტი

**მეორე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$ -ის მნიშვნელობა 9-10 ომმ-ის ფარგლებშია, იწყება 0,7 მეტრიდან და ვრცელდება 6 მეტრამდე. ეს ფენი უნდა შეესაბამებოდეს აქ გავრცელებულ ისევ კოლუვიურ ნალექებს, რომელიც სავარაუდოდ წარმოდგენილია თიხის, მცირე რაოდენობის ქვიშნარის ნარევით და ისევ კლდოვანი ქანების ნატეხების ძალიან მცირე ჩანართებით წარმოდგენილ და უფრო ნაკლები სიმკვრივის ფენას, რომელშიც ტენიანობა უფრო მომატებული უნდა იყოს, ვიდრე ზედა ფენში.

**მესამე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$ -ს მნიშვნელობა 3 ომმ-ის ტოლია, იწყება 6 მეტრიდან და ვრცელდება 15 მეტრამდე. ეს შრე უნდა შეესაბამებოდეს კარგად ახარისხებული ტერიგენული ქანებით წარმოდგენილ დასტას, რომელშიც კოლუვიური და წვრილფრაქციული მასალა ნაკლები კონცენტრაციით უნდა მონაწილეობდეს და ტენშემცველობაც გაცილებით ნაკლები

ვიდრე ზედა ფენში.

**მეოთხე გეოფიზიკური შრის**  $\rho$  მნიშვნელობა ისევ იზრდება 17 ომმ-მდე. ის იწყება 15 მეტრიდან და ვრცელდება 30 მეტრამდე. ჩვენი ვარაუდით ეს შრე უნდა შეესაბამებოდეს ამ რეგიონში გავრცელებული წვრილი და უფრო მკვრივი სტრუქტურის ტერიგენული მასალით წარმოდგენილ ქანებს და მათში სავარაუდოდ ტენიანობაც შეიძლება ნაკლები იყოს ვიდრე ზედა მესამე ფენში.

**მეხუთე გეოფიზიკური ფენის**  $\rho$  მნიშვნელობა ძალიან დაბალია და 5 ომმ-ის ფარგლებში იცვლება. ის იწყება 30 მეტრიდან და ვრცელდება 55 მეტრამდე. ამ მონაცემების მიხედვით ეს ფენი ისევ ტერიგენული წარმოშობის, მაგრამ ნაკლები სიმკვრივის შრეების ერთობლიობით უნდა იყოს წარმოდგენილი. ამავე დროს ის ძლიერ დანაპრალიანებული უნდა იყოს და მომატებული ტენშემცველობით უნდა ხასიათდებოდეს.

**მეექვსე გეოფიზიკური შრის**  $\rho$  მნიშვნელობა მკვეთრად მომატებულია და 600 ომმ-ის ფარგლებში იცვლება. ის იწყება 55 მეტრიდან და ვრცელდება სიღრმეში ისე, რომ მისი ქვედა საზღვარი 150 მეტრამდეც არ შემოიფარგლა. ამ მონაცემების მიხედვით ეს ფენი უფრო მაღალი სიმკვრივით, ნაკლები ნაპრალიანობით და ნაკლები ტენშემცველობით უნდა ხასიათდებოდეს ვიდრე მეხუთე ფენი. მეხუთე და მეექვსე ფენებს შორის სიღრმე ლითოლოგიური კონტაქტის დონეს უნდა შეესაბამებოდეს.

**ვეზ13-ის კვლევის შედეგები.** ამ ადგილზეც დღიური ზედაპირიდან ქვემოთ, 140 მეტრამდე სიღრმეში 5 განსხვავებული წინალობის ფენი გამოიყო (ნახ.14).

**პირველი გეოფიზიკური შრის** მოჩვენებითი კუთრი ელექტრული წინალობის ( $\rho$ ) მნიშვნელობა 37 ომმ-ს შეადგენს, ხოლო მისი სიმძლავრე 2 მეტრამდეა. ლითოლოგიურად აქაც ის უნდა შეესაბამებოდეს ამ ადგილას გავრცელებული ფერდობული ნალექების სულ ზედა ჰუმუსური ნიადაგით გამდიდრებულ და კლდოვანი ქანის ნატეხების იშვიათი ჩანართებით წარმოდგენილ თიხიან ფენას, რომელშიც მცირე რაოდენობით არის შერეული ჩრდილოეთის მხრიდან ჩამოტანილი ძირითადი ქანების გადანარეცი ქვიშნარი მასალაც.

**მეორე გეოფიზიკური შრის**  $\rho$  მნიშვნელობა 25 ომმ-ის ფარგლებშია, იწყება 2 მეტრიდან და ვრცელდება 8 მეტრამდე. ეს ფენი უნდა შეესაბამებოდეს აქ გავრცელებულ ისევ კოლუვიურ ნალექებს, რომელიც სავარაუდოდ წარმოდგენილია თიხის მასალით და მასში მცირე რაოდენობის ქვიშნარის ნარევი და ისევ კლდოვანი ქანების ნატეხების ჩანართებია. ამ შრეში ტენიანობა ოდნავ მეტი უნდა იყოს ვიდრე ზედა ფენში.

**მესამე გეოფიზიკური შრის**  $\rho$  მნიშვნელობა 8 ომმ-მდე მცირდება, იწყება 8 მეტრიდან და ვრცელდება 36 მეტრამდე. ეს ფენი აქაც უნდა შეესაბამებოდეს კარგად ახარისხებული ტერიგენული მასალით აგებული ქანების ერთობლიობას, რომელშიც ნაპრალოვნება და ტენშემცველობა მომატებული უნდა იყოს.



**ნახ.14.** ვეზ 13-ის გეოელექტრული სვეტი


**მეოთხე გეოფიზიკური შრის**  $\rho$  მნიშვნელობა ძალიან დაბალია და 4 ომმ-ის ფარგლებში იცვლება. ის იწყება 36 მეტრიდან და ვრცელდება 75 მეტრამდე. ჩვენი ვარაუდით ეს ფენი უნდა შეესაბამებოდეს ამ რეგიონში გავრცელებული წვრილი და საშუალო მარცვლოვანი მასალით აგებულ დანალექ ქანების ერთობლიობას. ამასთან მათში უფრო მომატებული უნდა იყოს

ნაპრალოვნება და ტენშემცველობაც ვიდრე მესამე ფენში.

**მეხუთე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$ -ის მნიშვნელობა მკვეთრად მომატებულია და 1100 ომმ- ის ფარგლებში იცვლება. ის იწყება 75 მეტრიდან და ვრცელდება სიღრმეში ისე, რომ ქვემოდან შემოსაზღვრული არ არის 150 მეტრამდე. ამ მონაცემების მიხედვით ეს ფენი უფრო მომატებული სიმკვრივის და ნაკლები ტენიანობის შემცველი ქანების ერთობლიობით უნდა იყოს წარმოდგენილი და ეს დონე უკვე ქანების დასტებს შორის ლითოლოგიურ საზღვარს უნდა შეესაბამებოდეს.

**ვეზ14-ის კვლევის შედეგები.** ამ ადგილზე დღიური ზედაპირიდან ქვემოთ, 140 მეტრამდე სიღრმეში, 3 განსხვავებული წინალობის ფენი გამოიყო (ნახ.15).

**პირველი გეოფიზიკური შრის** მოჩვენებითი კუთრი ელექტრული წინალობის ( $\rho_a$ ) მნიშვნელობა 16 ომმ-ს შეადგენს, ხოლო მისი სიმძლავრე 6 მეტრამდეა. ლითოლოგიურად ის უნდა შეესაბამებოდეს ამ ადგილას გავრცელებული ფერდობული ნალექების სულ ზედა, ჰუმუსური ნიადაგით გამდიდრებულ და კლდოვანი ქანის იშვიათი ნატეხების ჩანართებით წარმოდგენილ თიხის ფენას, რომელშიც მცირე რაოდენობით ქვიშნარიც არის შერეული.



ნახ.15. ვეზ 14-ის გეოელექტრული სვეტი

**მეორე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა 5 ომმ-ის ფარგლებშია, იწყება 6 მეტრიდან და ვრცელდება 45 მეტრამდე. ჩვენი ვარაუდით ეს შრე უნდა შეესაბამებოდეს ამ რეგიონში გავრცელებული წმინდა და საშუალო ზომის მარცვლებით აგებულ დანალექი წარმოშობის ქანებს და რომლებიც შეიძლება სიღრმეში ნაპრალოვნებითაც ხასიათდებოდნენ. ასევე უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ფენში ტენიანობაც ძალიან იქნება მომატებული.

**მესამე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა ისევ გაზრდილია და 35 ომმ-ს აჭარბებს. ის იწყება 45 მეტრიდან და ვრცელდება სიღრმეში ისე, რომ ქვემოდან (150 მ სიღრმემდე) შემოსაზღვრული არ არის. ამ მონაცემების მიხედვით ეს ფენი ისევ ტერიგენული წარმოშობის, მაგრამ მეტი სიმკვრივით უნდა ხასიათდებოდეს. ჩვენი ვარაუდით ამ მონაცემებით ეს დონე ამ ადგილას ქანებს შორის ლითოლოგიურ საზღვარს უნდა შეესაბამებოდეს.

**ვეზ15-ის კვლევის შედეგები.** ამ ადგილზე დღიური ზედაპირიდან ქვემოთ, 150 მეტრამდე სიღრმეში 4 განსხვავებული წინალობის ფენი გამოიყო (ნახ.16).



ნახ.16. ვეზ 15-ის გეოელექტრული სვეტი

**პირველი გეოფიზიკური ფენის** მოჩვენებითი კუთრი ელექტრული წინალობის ( $\rho_a$ ) მნიშვნელობა 3 ომმ-ს შეადგენს, ხოლო მისი სიმძლავრე 0,8 მეტრამდეა. ლითოლოგიურად ის უნდა შეესაბამებოდეს ამ ადგილას გავრცელებული ფერდობული ნალექების სულ ზედა, ჰუმუსური ნიადაგით გამდიდრებულ თიხის ფენას, რომელშიც ქვიშაანი მასალაც არის შერეული მცირე რაოდენობით.

**მეორე გეოფიზიკური ფენის**  $\rho_a$  მნიშვნელობა 20 ომმ-ის ტოლია, იწყება 0,8 მეტრიდან და ვრცელდება 2 მეტრამდე. ჩვენი ვარაუდით ეს შრე უნდა შეესაბამებოდეს ამ ადგილის

სიახლოვეს გავრცელებული წმინდა და საშუალო ზომის მარცვლებით აგებულ დანალექი წარმოშობის მერგელოვან ქანებს.


**მესამე გეოფიზიკური ფენის**  $\rho_a$  მნიშვნელობა ისევ მცირდება და 4 ომმ-ის ტოლია. ის იწყება 2 მეტრიდან და ვრცელდება სიღრმეში 33 მეტრამდე. ეს ფენი ისევ ტერიგენული წარმოშობის, მაგრამ ნაკლები სიმკვრივის ქანების მორიგეობით უნდა იყოს წარმოდგენილი და შეიძლება ტენიანობაც მომატებული იყოს.

**მეოთხე გეოფიზიკური ფენის**  $\rho_a$  მნიშვნელობა ისევ იზრდება და 100 ომმ-ის ტოლია. ის იწყება 33 მეტრიდან და ვრცელდება სიღრმეში ისე, რომ ქვემოთ 150 მეტრის სიღრმემდე შემოსაზღვრული არ არის. ეს ფენი ისევ ტერიგენული წარმოშობის, მაგრამ მეტი სიმკვრივის ქანების მორიგეობით უნდა იყოს წარმოდგენილი. ამ მონაცემებით ეს დონე ამ ადგილას არსებულ ქანებს შორის ლითოლოგიურ საზღვარს უნდა შეესაბამებოდეს.

**ვეზ 16-ის კვლევის შედეგები.** ამ ადგილზეც დღიური ზედაპირიდან ქვემოთ, 150 მეტრამდე სიღრმეში 4 განსხვავებული წინალობის ფენი გამოიყო (ნახ.17). ეს ფენები ანალოგიური მახასიათებლებით ხასიათდებიან და დაახლოებით იგივე ლითოლოგიური ჭრილის იკვეთება როგორც ვეზ 15-ის ადგილას.

**პირველი გეოფიზიკური ფენის** მოჩვენებითი კუთრი ელექტრული წინალობის ( $\rho_a$ ) მნიშვნელობა აქაც 10 ომმ-ს ფარგლებშია, ხოლო მისი სიმძლავრე 1,8 მეტრამდეა. ლითოლოგიურად ის უნდა შეესაბამებოდეს ამ ადგილას გავრცელებული ფერდობული ნალექების სულ ზედა, ჰუმუსური ნიადაგით გამდიდრებულ თიხის ფენას, რომელშიც ქვიშიანი მასალაც არის შერეული მცირე რაოდენობით.

**მეორე გეოფიზიკური ფენის**  $\rho_a$  მნიშვნელობა 27 ომმ-ის ტოლია, იწყება 1,8 მეტრიდან და ვრცელდება 4 მეტრამდე. ჩვენი ვარაუდით ეს შრე უნდა შეესაბამებოდეს ამ ადგილის სიახლოვეს გავრცელებული წმინდა და საშუალო ზომის მარცვლებით აგებულ საშუალო სიმკვრივის დანალექი წარმოშობის ქანებს. სავარაუდოდ მათში მომატებული უნდა იყოს ტენიანობაც.



ნახ.17. ვეზ 16-ის გეოელექტრული სვეტი

**მესამე გეოფიზიკური ფენის**  $\rho_a$  მნიშვნელობა კიდევ მცირდება და 2 ომმ-ის ტოლია. ის იწყება 4 მეტრიდან და ვრცელდება სიღრმეში 20 მეტრამდე. ეს ფენი სავარაუდოდ ნაკლები სიმკვრივის, მომატებული ნაპრალოვნების და წყლით გაჯერებულ გარემოს უნდა შეესაბამებოდეს ვიდრე ზედა შრეები.

**მეოთხე გეოფიზიკური ფენის**  $\rho_a$  მნიშვნელობა ისევ იზრდება და 30 ომმ-ის ტოლია. ის იწყება 20 მეტრიდან და ვრცელდება ქვემოთ ისე, რომ 120 მეტრამდე სიღრმეში შემოსაზღვრული არ არის. ის უნდა შეესაბამებოდეს მომატებული სიმკვრივის და ნაკლები ნაპრალოვნებითა და ტენიანობით წარმოდგენილ ქანებს. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მონაცემებით ეს დონე ამ ადგილას არსებულ ქანებს შორის ლითოლოგიურ საზღვარს უნდა შეესაბამებოდეს.

**ვეზ17-ის კვლევის შედეგები.** ეს წერტილი მდინარის ხეობაში, მის მარჯვენა პირველ ტერასაზე არის გამოკვლეული. ამ ადგილზე დღიური ზედაპირიდან ქვემოთ, 150 მეტრამდე სიღრმეში 5 განსხვავებული წინალობის ფენი გამოიყო (ნახ.18).


**პირველი გეოფიზიკური შრის** მოჩვენებითი კუთრი ელექტრული წინალობის ( $\rho_a$ ) მნიშვნელობა

50მმ-ს შეადგენს, ხოლო მისი სიმძლავრე 0,5 მეტრამდეა. ლითოლოგიურად ის უნდა შეესაბამებოდეს ამ ადგილას გავრცელებული ზედა ჰუმუსური ნიადაგით გამდიდრებულ თიხიან ფენას.

**მეორე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა 250 ომმ-ის ფარგლებშია, იწყება 0,5 მეტრიდან და ვრცელდება 1 მეტრამდე. ეს ფენი უნდა შეესაბამებოდეს აქ გავრცელებულ ალუვიურ ნალექებს, რომელიც სავარაუდოდ წარმოდგენილია თიხის, ქვიშნარის და მდინარეული ქვარგვალეების ჩანართებით.

**მესამე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა 45 ომმ-მდე მცირდება, იწყება 1 მეტრიდან და ვრცელდება 6 მეტრამდე. ეს ფენი უნდა შეესაბამებოდეს მდინარეული და ფერდობული მასალის ნარევს, რომელიც ნაკლები სიმკვრივით და მცირედ მომატებული ტენშემცველობით უნდა ხასიათდებოდეს.

**მეოთხე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა ძალიან დაბალია და 8ომმ-ის ფარგლებში იცვლება. ის იწყება 6 მეტრიდან და ვრცელდება 21 მეტრამდე. ჩვენი ვარაუდით ეს ფენი უნდა შეესაბამებოდეს ამ მიდამოში აღმოსავლეთით გავრცელებული წვრილი და საშუალო მარცვლოვანი მერგელოვან-კარბონატული შედგენილობის დანალექი ქანების ერთობლიობას. ამასთან მათში უფრო მომატებული უნდა იყოს ნაპრალოვნება და ტენშემცველობაც ვიდრე მესამე ფენში.



ნახ.18. ვებ 17-ის გეოელექტრული სვეტი

**მეხუთე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$ -ის მნიშვნელობა მცირედ მომატებულია და 40ომმ-ის ფარგლებში იცვლება. ის იწყება 21 მეტრიდან და ვრცელდება სიღრმეში ისე, რომ ქვემოდან შემოსაზღვრული არ არის 100 მეტრამდე. ამ მონაცემების მიხედვით ეს ფენი უფრო მომატებული სიმკვრივის და ნაკლები ტენიანობის შემცველი ქანების ერთობლიობით უნდა იყოს წარმოდგენილი ვიდრე ზედა ფენი და ეს დონე უკვე ქანების დასტებს შორის ლითოლოგიურ საზღვარს უნდა შეესაბამებოდეს.

**ვებ22-ის კვლევის შედეგები.** ამ ადგილზე დღიური ზედაპირიდან ქვემოთ, 140 მეტრამდე სიღრმეში 4 განსხვავებული წინალობის ფენი გამოიყო (ნახ.19).


**პირველი გეოფიზიკური შრის** მოჩვენებითი კუთრი ელექტრული წინალობის ( $\rho_a$ ) მნიშვნელობა 260ომმ-ს შეადგენს, ხოლო მისი სიმძლავრე 1,8 მეტრამდეა. ლითოლოგიურად ის უნდა შეესაბამებოდეს აქ გავრცელებულ კოლუვიურ ნალექებს, რომელიც წარმოდგენილია თიხის, ქვიშნარის და ძირითადი ქანების უხეშად დამუშავებულ იშვიათი ნატეხების ჩანართებით, რომელიც ზედა ნაწილში გამდიდრებული უნდა იყოს ჰუმუსური ნიადაგით.

**მეორე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა 17ომმ-ის ფარგლებშია, იწყება 1 მეტრიდან და ვრცელდება 3 მეტრამდე. ეს ფენი უნდა შეესაბამებოდეს იგივე სახის კოლუვიურ ნალექებს და მასში ტენიანობა ოდნავ მომატებული უნდა იყოს ვიდრე ზედა ფენში. **მესამე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა 90ომმ-მდე მატულობს, იწყება 3 მეტრიდან და ვრცელდება 30 მეტრამდე. ეს ფენი უნდა შეესაბამებოდეს მეტი სიმკვრივის მქონე ტერიგენული ქანებით აგებულ საშუალო სიმძლავრის ფენს, რომელიც ნაკლები ტენშემცველობით უნდა ხასიათდებოდეს ვიდრე მეორე შრე.

**მეოთხე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა ისევ კლებულობს 25 ომმ-მდე. ის იწყება 30 მეტრიდან და ვრცელდება ისე, რომ შესწავლილ სიღრმემდე შემოსაზღვრული არ არის. ჩვენი



ვარაუდით ეს ფენი უნდა შეესაბამებოდეს წვრილი და საშუალო მარცვლოვანი შედგენილობის დანალექი ქანების ერთობლიობას. ამასთან მათში უფრო მომატებული უნდა იყოს ნაპრალოვნება და ტენშემცველობაც ვიდრე ზედა-მესამე ფენში.



ნახ.19. ვეზ 22-ის გეოელექტრული სვეტი

**ვეზ18-ის კვლევის შედეგები.** ამ ადგილზეც დღიური ზედაპირიდან ქვემოთ, 150 მეტრამდე სიღრმეში 4 განსხვავებული წინალობის ფენი გამოიყო (ნახ.20). ეს ფენები ანალოგიური მახასიათებლებით ხასიათდებიან და დაახლოებით იგივე ლითოლოგიური ჭრილი იხატება როგორც ვეზ 4-ის ადგილას.

**პირველი გეოფიზიკური ფენის** მოჩვენებითი კუთრიელექტრული წინალობის ( $\rho_a$ ) მნიშვნელობა 180 ომმ-ის ფარგლებშია, ხოლო მისი სიმძლავრე 4,2 მეტრამდეა. ლითოლოგიურად ის უნდა შეესაბამებოდეს ამ ადგილას გავრცელებული ფერდობული ნალექების სულ ზედა, ჰუმუსური ნიადაგით გამდიდრებულ თიხის ფენას, რომელშიც ქვიშიანი მასალაც არის შერეული მცირე რაოდენობით და კლდოვანი ქანების უხეშად დამუშავებული ნატეხების იშვიათი ჩანართებიც.

**მეორე გეოფიზიკური ფენის**  $\rho_a$  მნიშვნელობა 80 ომმ-ის ტოლია, იწყება 4,2 მეტრიდან და ვრცელდება 32 მეტრამდე. ჩვენი ვარაუდით ეს შრე უნდა შეესაბამებოდეს ამ ადგილის სიახლოვეს გავრცელებული წმინდა და საშუალო ზომის მარცვლებით აგებულ დანალექი წარმოშობის ქვიშაქვიან-მერგელოვან ქანებს.

**მესამე გეოფიზიკური ფენის**  $\rho_a$  მნიშვნელობა ისევ მცირდება და 10 ომმ-ის ტოლია. ის იწყება 32 მეტრიდან და ვრცელდება სიღრმეში 135 მეტრამდე. ეს ქანებიც მომატებული ნაპრალოვნებით და ტენიანობით უნდა ხასიათდებოდნენ ვიდრე ზედა შრეები.



ნახ.20. ვეზ 18-ის გეოელექტრული სვეტი

**მეოთხე გეოფიზიკური ფენის**  $\rho_a$  მნიშვნელობა მკვეთრად იზრდება და 120 ომმ-ის ტოლია. ის 135 მეტრიდან და ვრცელდება სიღრმეში ისე, რომ ქვემოდან შესწავლილ სიღრმემდე შემოსაზღვრული არ არის. ეს ფენი ისევ საღი სტრუქტურის, მაღალი სიმკვრივის და ნაკლები ტენიანობით უნდა ხასიათდებოდეს ვიდრე ზედა ფენებში. ამ მონაცემებით ეს სიღრმე აქ არსებულ ქანებს შორის ლითოლოგიურ საზღვარს უნდა შეესაბამებოდეს. **ვეზ 28-ის კვლევის შედეგები.** ეს ჭრილი ძალიან კარგ კორელაციაშია ვეზ 7-ის მონაცემებთან როგორც გამოყოფილი ფენების, ასევე მათი სიმძლავრეების და წინალობათა მნიშვნელობათა მიხედვით. ამ ადგილზე დღიური ზედაპირიდან ქვემოთ, 160 მეტრამდე სიღრმეში 5 განსხვავებული წინალობის ფენი გამოიყო (ნახ.21).

**პირველი გეოფიზიკური შრის** მოჩვენებითი კუთრი ელექტრული წინალობის ( $\rho_a$ ) მნიშვნელობა 60 ომმ-ს შეადგენს, ხოლო მისი სიმძლავრე 0,6 მეტრამდეა. ლითოლოგიურად ის უნდა შეესაბამებოდეს აქ გავრცელებულ კოლუვიურ ნალექებს, რომელიც წარმოდგენილია თიხის, ქვიშარის და ძირითადი ქანების უხეშად დამუშავებულ ნატეხების ჩანართებით. ეს ფენი ზედა

ნაწილში გამდიდრებული უნდა იყოს ჰუმუსური ნიადაგით.

**მეორე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა 680 ომმ-ის ფარგლებშია იწყება 0.6 მეტრიდან და ვრცელდება 2 მეტრამდე. ჩვენი ვარაუდით ეს ფენი როგორც ვეზ 7-ის შემთხვევაში უნდა შეესაბამებოდეს ისევ კოლუვიურ ნალექების ქვედა ნაწილს, სადაც მომატებული უნდა იყოს კენჭნარი და ქვისიანი მასალა.

**მესამე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა 60 ომმ-ის ფარგლებშია, იწყება 2 მეტრიდან და ვრცელდება 34 მეტრამდე. ჩვენი ვარაუდით ეს ფენი უნდა შეესაბამებოდეს წვრილი და საშუალო მარცვლოვანი სტრუქტურის, საშუალო სიმკვრივის ქანების ერთობლიობას, რომლებშიც მომატებული უნდა იყოს ტენშემცველობა და ნაპრალოვნებაც ვიდრე ზედაპირველ ფენში.

**მეოთხე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა ისევ მცირდება 4 ომმ-დე. ის იწყება 34 მეტრიდან და ვრცელდება 110 მეტრამდე. სავარაუდოდ ის უნდა შეესაბამებოდეს ნაკლები სისხლის, საშუალო სიმკვრივის, მომატებული ნაპრალოვნების და წყალშემცველობის ქანების ერთობლიობას.



ნახ.21. ვეზ 28-ის გეოელექტრული სვეტი


**მეხუთე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა ისევ იზრდება და 1600 ომმ-ის ფარგლებშია. ის იწყება 110 მეტრიდან და ვრცელდება ქვემოთ ისე, რომ ქვემოდან 250 მეტრამდე სიღრმეში შემოსაზღვრული არ არის. ჩვენი ვარაუდით ეს ფენი უნდა შეესაბამებოდეს უკვე ლითოლოგიურ საზღვარს უფრო ქვემოთ არსებულ მკვრივ და ზემოთა - ტენ მომატებულ და ნაპრალოვან ფენებს შორის.

**ვეზ 24-ის კვლევის შედეგები.** ამ ადგილზეც დღიური ზედაპირიდან ქვემოთ, 150 მეტრამდე სიღრმეში 5 განსხვავებული წინალობის ფენი გამოიყო (ნახ.22).

**პირველი გეოფიზიკური შრის** მოჩვენებითი კუთრი ელექტრული წინალობის ( $\rho_a$ ) მნიშვნელობა 290 ომმ-ს შეადგენს, ხოლო მისი სიმძლავრე 2,8 მეტრამდეა. ლითოლოგიურად ის უნდა შეესაბამებოდეს აქ გავრცელებულ კოლუვიურ ნალექებს, რომელიც წარმოდგენილია ჰუმუსური ნიადაგის, თიხის, ქვიშნარის და ძირითადი ქანების უხეშად დამუშავებულ იშვიათი ნატეხების ჩანართებით.

**მეორე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა 35 ომმ-ის ფარგლებშია, იწყება 2,8 მეტრიდან და ვრცელდება 12 მეტრამდე. ეს ფენი უნდა შეესაბამებოდეს იგივე სახის კოლუვიურ ნალექებს, რომლებშიც მეტი უნდა იყოს თიხნარი მასალა და მასში ტენიანობაც ოდნავ მომატებული უნდა იყოს ვიდრე ზედა ფენში.

**მესამე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა 90 ომმ-მდე მატულობს, იწყება 12 მეტრიდან და ვრცელდება 26 მეტრამდე. ეს ფენი უნდა შეესაბამებოდეს მეტი სიმკვრივის მქონე ტერიგენული ქანებით აგებულ საშუალო სიმძლავრის ფენს, რომელიც ნაკლები ტენშემცველობით უნდა ხასიათდებოდეს ვიდრე მეორე შრე.



ნახ.22. ვეზ 24-ის გეოელექტრული სვეტი

**მეოთხე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა კლებულობს 25 ომმ-მდე. ის იწყება 26 მეტრიდან და ვრცელდება 110 მეტრამდე. ეს ფენიკ უნდა შეესაბამებოდეს ნაკლები სიმკვრივის, მომატებული ნაპრალოვნების და ტენიანობის გარემოს.

**მეხუთე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა იზრდება 60 ომმ-მდე. ის იწყება 110 მეტრიდან და ვრცელდება ქვემოთ ისე, რომ 150 მეტრამდე სიღრმეში შემოსაზღვრული არ არის. ჩვენი ვარაუდით ეს ფენი უნდა შეესაბამებოდეს წვრილ და საშუალო მარცვლოვანი შედგენილობის უფრო მკვრივი და საღი ქანების ერთობლიობას. ამ ჭრილშიც ეს სიღრმე (110 მ) მკვეთრ ლითოლოგიურ საზღვარს უნდა შეესაბამებოდეს ამ ორ განსხვავებული ფიზიკური თვისებების მქონე ქანების დასტებს შორის.

**ვეზ 29-ის კვლევის შედეგები.** ამ ადგილზე დღიური ზედაპირიდან ქვემოთ, 250 მეტრამდე სიღრმეში, 4 განსხვავებული წინალობის ფენი გამოიყო (ნახ.23).

**პირველი გეოფიზიკური შრის** მოჩვენებითი კუთრი ელექტრული წინალობის ( $\rho_a$ ) მნიშვნელობა 90 ომმ-ს შეადგენს, ხოლო მისი სიმძლავრე 1,7 მეტრამდეა. ლითოლოგიურად ის უნდა შეესაბამებოდეს ამ ადგილას გავრცელებული ფერდობული ნალექების სულ ზედა, ჰუმუსური ნიადაგით გამდიდრებულ და კლდოვანი ქანის იშვიათი ნატეხების ჩანართებით წარმოდგენილ თიხის ფენას, რომელშიც ქვიშნარიც არის შერეული მცირე რაოდენობით.

**მეორე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა 11 ომმ-ის ტოლია, იწყება 1,7 მეტრიდან და ვრცელდება 8 მეტრამდე. ეს შრე უნდა შეესაბამებოდეს კარგად ახარისხებული ტერიგენული ქანებით წარმოდგენილ დასტას, რომელიც კოლუვიურ მასალას ნაკლები რაოდენობით შეიცავს, მაგრამ მასში წვრილმარცვლოვანი მასალა მეტი კონცენტრაციით უნდა იყოს წარმოდგენილი და ტენშემცველობაც მეტი უნდა იყოს ვიდრე ზედა შრეში.



ნახ.23. ვეზ 29-ის გეოელექტრული სვეტი

**მესამე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა 2 ომმ-ის ტოლია, იწყება 8 მეტრიდან და ვრცელდება 35 მეტრამდე. ჩვენი ვარაუდით ეს შრე უნდა შეესაბამებოდეს ამ რეგიონში გავრცელებული წმინდა და საშუალო ზომის მარცვლებით აგებულ დანალექი წარმოშობის ქანებს და რომლებიც შეიძლება სიღრმეში ნაპრალოვნებითაც ხასიათდებოდნენ. ასევე უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ფენში ტენიანობაც ძალიან იქნება მომატებული.

**მეოთხე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა ისევ გაზრდილია და 25 ომმ-ს აჭარბებს. ის იწყება 35 მეტრიდან და ვრცელდება სიღრმეში ისე, რომ ქვემოდან 160 მ სიღრმემდე შემოსაზღვრული არ არის. ამ მონაცემების მიხედვით ეს ფენი ისევ საღი სტრუქტურის და მკვრივ ქანებს უნდა შეესატყვისებოდეს. ამავე დროს ის ნაკლები ნაპრალოვნებით და ტენშემცველობით უნდა ხასიათდებოდეს, ვიდრე მეორე და მესამე ფენები. ჩვენი ვარაუდით ამ მონაცემებით ეს დონე ამ ადგილას არსებული განსხვავებული სიმკვრივის, ნაპრალოვნების და ტენშემცველობის მქონე

ქანებს შორის მკვეთრ ლითოლოგიურ საზღვარს უნდა შეესაბამებოდეს.

**ვეზ 30-ის კვლევის შედეგები.** ამ ადგილზე დღიური ზედაპირიდან ქვემოთ, 150 მეტრამდე სიღრმეში, 3 განსხვავებული წინაღობის ფენი გამოიყო (ნახ.24).

**პირველი გეოფიზიკური შრის** მოჩვენებითი კუთრი ელექტრული წინააღობის ( $\rho_a$ ) მნიშვნელობა 18 ომმ-ს შეადგენს, ხოლო მისი სიმძლავრე 4 მეტრამდეა. ლითოლოგიურად ის უნდა შეესაბამებოდეს ამ ადგილას გავრცელებული ფერდობული ნალექების სულ ზედა, ჰუმუსური ნიადაგით გამდიდრებულ და კლდოვანი ქანის იშვიათი ნატეხების ჩანართებით წარმოდგენილ თიხის ფენას, რომელშიც მცირე რაოდენობით ქვიშა არის შერეული.

**მეორე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა 7 ომმ-ის ფარგლებშია, იწყება 4 მეტრიდან და ვრცელდება 42 მეტრამდე. ჩვენი ვარაუდით ეს ფენი უნდა შეესაბამებოდეს ამ რეგიონში გავრცელებული წმინდა და საშუალო მარცვლოვანი სტრუქტურის ქანებს და რომლებიც შეიძლება სიღრმეში ნაპრალოვნებითაც ხასიათდებოდნენ. ასევე უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ფენში ტენიანობაც ძალიან უნდა იყოს მომატებული.

**მესამე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა ისევ გაზრდილია და 46 ომმ-ს აჭარბებს. ის იწყება 42 მეტრიდან და ვრცელდება სიღრმეში ისე, რომ ქვემოდან (150 მ სიღრმემდე) შემოსაზღვრული არ არის. ამ მონაცემების მიხედვით ეს ფენი სადი სტრუქტურით, მეტი სიმკვრივით და ნაკლები ნაპრალოვნებით უნდა ხასიათდებოდეს. ჩვენი ვარაუდით ამ მონაცემებით ეს დონე ამ ადგილას არსებულ ქანებს შორის მკვეთრ ლითოლოგიურ საზღვარს უნდა შეესაბამებოდეს.




ნახ.24. ვეზ 30-ის გეოელექტრული სვეტი

**ვეზ21-ის კვლევის შედეგები.** ამ ადგილზე დღიური ზედაპირიდან ქვემოთ, 150 მეტრამდე სიღრმეში 4 განსხვავებული წინააღობის ფენი გამოიყო (ნახ.25).

**პირველი გეოფიზიკური შრის** მოჩვენებითი კუთრი ელექტრული წინააღობის ( $\rho_a$ ) მნიშვნელობა 160 ომმ-ს შეადგენს, ხოლო მისი სიმძლავრე 8 მეტრამდეა. ლითოლოგიურად ის უნდა შეესაბამებოდეს აქ გავრცელებულ კოლუვიურ ნალექებს, რომელიც სავარაუდოდ წარმოდგენილია თიხის, ქვიშნარის და ძირითადი ქანების უხეშად დამუშავებულ იშვიათი ნატეხების ჩანართებით, რომელის ზედა ნაწილში გამდიდრებული უნდა იყოს ჰუმუსური ნიადაგით.

**მეორე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა 60 ომმ-ის ფარგლებშია, იწყება 8 მეტრიდან და ვრცელდება 25 მეტრამდე. ეს ფენი უნდა შეესაბამებოდეს აქ გავრცელებულ კოლუვიურ ნალექებს, რომელიც სავარაუდოდ წარმოდგენილია თიხის, ქვიშნარის და ძირითადი ქანების უხეშად დამუშავებულ იშვიათი ნატეხებით და მასში ტენიანობა ოდნავ მომატებული უნდა იყოს ვიდრე ზედა ფენში.

**მესამე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა 275 ომმ-მდე მატულობს, იწყება 15 მეტრიდან და ვრცელდება 55 მეტრამდე. ეს ფენი უნდა შეესაბამებოდეს მეტი სიმკვრივის მქონე ტერიგენული ქანებით აგებულ საშუალო სიმძლავრის ფენს, რომელიც ნაკლები ტენიანობით უნდა ხასიათდებოდეს ვიდრე მეორე შრე.




ნახ.25. ვეზ 21-ის გეოელექტრული სვეტი

მეოთხე გეოფიზიკური შრის  $\rho_a$  მნიშვნელობა ისევ კლებულობს 15 ომმ-მდე. ის იწყება 55 მეტრიდან და ვრცელდება ისე, რომ შესწავლილ სიღრმემდე შემოსაზღვრული არ არის. ჩვენი ვარაუდით ეს ფენი უნდა შეესაბამებოდეს მომატებული ნაპრალოვნების და ტენიანობის მქონე დასტას, რომელიც სიღრმეში ვრცელდება.

**ვეზ19-ის კვლევის შედეგები.** ამ ადგილზე დღიური ზედაპირიდან ქვემოთ, 150 მეტრამდე სიღრმეში მხოლოდ 4 განსხვავებული წინაღობის ფენი გამოიყო (ნახ.26). ეს ფენები ანალოგიური მახასიათებლებით ხასიათდებიან და დაახლოებით იგივე ლითოლოგიური ჭრილის იხატება როგორც ვეზ 18-ის ადგილას და ვეზ4 ის ადგილას.

**პირველი გეოფიზიკური ფენის** მოჩვენებითი კუთრი ელექტრული წინაღობის ( $\rho_a$ ) მნიშვნელობა აქაც 150ომმ-ის ფარგლებშია, ხოლო მისი სიმძლავრე 1,5 მეტრამდეა. ლითოლოგიურად ის უნდა შეესაბამებოდეს ამ ადგილას გავრცელებული ფერდობული ნალექების სულ ზედა, ჰუმუსური ნიადაგით გამდიდრებულ თიხის ფენას, რომელშიც ქვიშიანი მასალაც არის შერეული მცირე რაოდენობით და კლდოვანი ქანების უხეშად დამუშავებული ნატეხების იშვიათი ჩანართებიც.

**მეორე გეოფიზიკური ფენის**  $\rho_a$  მნიშვნელობა 90 ომმ-ის ტოლია, იწყება 1,5 მეტრიდან და ვრცელდება 37 მეტრამდე. ჩვენი ვარაუდით ეს შრე უნდა შეესაბამებოდეს ამ ადგილის სიახლოვეს გავრცელებული წმინდა და საშუალო ზომის მარცვლებით აგებულ დანალექი წარმოშობის ქვიშაქვიან-მერგელოვან ქანებს, რომლებიც მომატებული ტენიანობით და ნაპრალოვნებით უნდა ხასიათდებოდნენ ვიდრე პირველ შრეში.



ნახ.26. ვეზ 19-ის გეოელექტრული სვეტი

**მესამე გეოფიზიკური ფენის**  $\rho_a$  მნიშვნელობა ისევ მცირდება და 14 ომმ-ის ფარგლებშია. ის იწყება 37 მეტრიდან და ვრცელდება სიღრმეში 140 მეტრამდე. ეს ფენი ისევ ტერიგენული წარმოშობის, მაგრამ ნაკლები სიმკვრივის ქანების მორიგეობით უნდა იყოს წარმოდგენილი და შეიძლება მასში ტენიანობაც უფრო მომატებული იყოს ვიდრე ზედა ფენში.

**მეოთხე გეოფიზიკური ფენის**  $\rho_a$  მნიშვნელობა მკვეთრად იზრდება და 130 ომმ-ის ტოლია. ის იწყება 140 მეტრიდან და ვრცელდება სიღრმეში ისე, რომ ქვემოთ შესწავლილ სიღრმემდე შემოსაზღვრული არ არის. ეს ფენი ისევ საღი სტრუქტურის, მაღალი სიმკვრივის და ნაკლები ტენიანობით უნდა ხასიათდებოდეს ვიდრე ზედა ფენები. ამ მონაცემებით ეს სიღრმე აქ არსებულ ქანებს შორის ლითოლოგიურ საზღვარს უნდა შეესაბამებოდეს.

**ვეზ 23-ის კვლევის შედეგები.** ამ ადგილზე დღიური ზედაპირიდან ქვემოთ, 150 მეტრამდე სიღრმეში 5 განსხვავებული წინაღობის ფენი გამოიყო (ნახ.27).

**პირველი გეოფიზიკური შრის** მოჩვენებითი კუთრი ელექტრული წინაღობის ( $\rho_a$ ) მნიშვნელობა 250 ომმ შეადგენს, ხოლო მისი სიმძლავრე 3 მეტრამდეა. ლითოლოგიურად ის უნდა შეესაბამებოდეს აქ გავრცელებულ კოლუვიურ ნალექებს, რომელიც წარმოდგენილია თიხის,

ქვიშნარის და ძირითადი ქანების უხეზად დამუშავებულ იშვიათი ნატეხების ჩანართებით, რომელიც ზედა ნაწილში გამდიდრებული უნდა იყოს ჰუმუსური ნიადაგით.



ნახ.27. ვეზ 23-ის გეოელექტრული სვეტი

**მეორე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა 15 ომმ-ის ფარგლებშია, იწყება 3 მეტრიდან და ვრცელდება 8 მეტრამდე. ეს ფენი უნდა შეესაბამებოდეს იგივე სახის კოლუვიურ ნალექებს, რომლებშიც მეტი უნდა იყოს თიხნარი მასალა და მასში ტენიანობაც ოდნავ მომატებული უნდა იყოს ვიდრე ზედა ფენში.

**მესამე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა 90 ომმ-მდე მატულობს, იწყება 8 მეტრიდან და ვრცელდება 30 მეტრამდე. ეს ფენი უნდა შეესაბამებოდეს მეტი სიმკვრივის მქონე ტერიგენული ქანებით აგებულ საშუალო სიმძლავრის ფენს, რომელიც ნაკლები ტენიანობით უნდა ხასიათდებოდეს ვიდრე მეორე შრე.

**მეოთხე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა ისევ კლებულობს 25 ომმ-მდე. ის იწყება 30 მეტრიდან და ვრცელდება 100 მეტრამდე. ეს ფენიც უნდა შეესაბამებოდეს ნაკლები სიმკვრივის, მომატებული ნაპრალოვნების და ტენიანობის ქანებს.

**მეხუთე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$  მნიშვნელობა იზრდება 95 ომმ-მდე. ის იწყება 100 მეტრიდან და ვრცელდება ქვემოთ ისე, რომ 150 მეტრამდე სიღრმეში შემოსაზღვრული არ არის. ჩვენი ვარაუდით ეს ფენი უნდა შეესაბამებოდეს წვრილი და საშუალო მარცვლოვანი შედგენილობის უფრო მკვრივი და საღი ქანების ერთობლიობას. ამ ჭრილში ეს სიღრმე (100 მ) უნდა შეესაბამებოდეს მკვეთრ ლითოლოგიურ საზღვარს განსხვავებული ფიზიკური თვისებების ქანებს შორის.

**ვეზ25-ის კვლევის შედეგები.** ამ ადგილზე დღიური ზედაპირიდან ქვემოთ, 150 მეტრამდე სიღრმეში მხოლოდ 4 განსხვავებული წინალობის ფენი გამოიყო (ნახ.28).

**პირველი გეოფიზიკური ფენის** მოჩვენებითი კუთრი ელექტრული წინალობის ( $\rho_a$ ) მნიშვნელობა 80 ომმ-ს ფარგლებშია, ხოლო მისი სიმძლავრე 1,3 მეტრამდეა. ლითოლოგიურად ის უნდა შეესაბამებოდეს ამ ადგილას გავრცელებული ფერდობული ნალექების სულ ზედა, ჰუმუსური ნიადაგით გამდიდრებულ თიხის ფენას, რომელშიც ქვიშიანი მასალაც არის შერეული მცირე რაოდენობით და კლდოვანი ქანების უხეზად დამუშავებული ნატეხების იშვიათი ჩანართებიც.

**მეორე გეოფიზიკური ფენის**  $\rho_a$  მნიშვნელობა 11 ომმ-ის ტოლია, იწყება 1,3 მეტრიდან და ვრცელდება 14 მეტრამდე. ჩვენი ვარაუდით ეს შრე უნდა შეესაბამებოდეს წმინდა და საშუალო ზომის მარცვლებით აგებულ ქანებს, რომლებიც საშუალო სიმკვრივით, მომატებული ტენიანობით და ნაპრალოვნებით უნდა ხასიათდებოდნენ.

**მესამე გეოფიზიკური ფენის**  $\rho_a$  მნიშვნელობა ისევ მცირდება და 8 ომმ-ის ფარგლებშია. ის იწყება 14 მეტრიდან და ვრცელდება 110 მეტრამდე. ეს ფენი უნდა შეესაბამებოდეს ნაკლები სიმკვრივის, მომატებული ნაპრალოვნების და ტენიანობის ქანებს.

**მეოთხე გეოფიზიკური ფენის**  $\rho_a$  მნიშვნელობა უფრო იზრდება და 28 ომმ-ის ფარგლებშია. ის იწყება 110 მეტრიდან და ვრცელდება ისე, რომ ქვემოთ 150 მეტრამდე სიღრმეში შემოსაზღვრული არ არის. ეს ფენი ისევ მეტი სიმკვრივის, საღი სტრუქტურის ქანების ერთობლიობით უნდა იყოს წარმოდგენილი და მასში ტენიანობაც უფრო ნაკლები უნდა იყოს ვიდრე ზედა ფენში. ამ მონაცემებით ეს სიღრმე აქ არსებულ ქანებს შორის მკაფიო

ლითოლოგიურ საზღვარს უნდა შეესაბამებოდეს.



ნახ.28. ვეზ 25-ის გეოელექტრული სვეტი

**ვეზ26-ის კვლევის შედეგები.** ამ ადგილზე დღიური ზედაპირიდან ქვემოთ, 150 მეტრამდე სიღრმეში მხოლოდ 3 განსხვავებული წინალობის ფენი გამოიყო (ნახ.28) .

**პირველი გეოფიზიკური ფენის** მოჩვენებითი კუთრი ელექტრული წინალობის ( $\rho_a$ ) მნიშვნელობა აქაც ნომმ-ის ფარგლებშია, ხოლო მისი სიმძლავრე 3,5 მეტრამდეა. ლითოლოგიურად ის უნდა შეესაბამებოდეს ამ ადგილას გავრცელებული ფერდობული ნალექების სულ ზედა, ჰუმუსური ნიადაგით გამდიდრებულ თიხის ფენას, რომელშიც ქვიშიანი მასალაც არის შერეული მცირე რაოდენობით და კლდოვანი ქანების უხეშად დამუშავებული ნატეხების ჩანართებით.

**მეორე გეოფიზიკური ფენის**  $\rho_a$  მნიშვნელობა ნომმ-ის ტოლია, იწყება 3,5 მეტრიდან და ვრცელდება 70 მეტრამდე. ჩვენი ვარაუდით ეს შრე უნდა შეესაბამებოდეს წმინდა და საშუალო ზომის მარცვლებით აგებულ დანალექი წარმოშობის ქვიშაქვიან-მერგელოვან ქანებს, რომლებიც მომატებული ტენიანობით და ნაპრალოვნებით უნდა ხასიათდებოდნენ.



ნახ.29. ვეზ 26-ის გეოელექტრული სვეტი

**მესამე გეოფიზიკური ფენის**  $\rho_a$  მნიშვნელობა ისევ იზრდება და 26 ომმ-ის ფარგლებშია. ის იწყება 70 მეტრიდან და ვრცელდება ისე, რომ ქვემოთ 150 მეტრამდე სიღრმეში შემოსაზღვრული არ არის. ეს ფენი ისევ ტერიგენული წარმოშობის, მაგრამ მეტი სიმკვრივის ქანების მორიგეობით უნდა იყოს წარმოდგენილი და მასში ტენიანობაც უფრო ნაკლები უნდა იყოს ვიდრე ზედა ფენში. ამ მონაცემებით ეს სიღრმე აქ არსებულ ქანებს შორის ლითოლოგიურ საზღვარს უნდა შეესაბამებოდეს.

**ვეზ 31-ის კვლევის შედეგები.** ამ ჭრილში დღიური ზედაპირიდან ქვემოთ, 150 მეტრამდე სიღრმეში 6 განსხვავებული წინალობის ფენი (შრე) გამოიყო (ნახ.30).

**პირველი გეოფიზიკური შრის** მოჩვენებითი კუთრი ელექტრული წინალობის ( $\rho_a$ ) მნიშვნელობა 70 ომმ-ს ფარგლებშია, ხოლო მისი სიმძლავრე დღიური ზედაპირიდან ქვემოთ 0,8 მეტრამდეა. ამ ადგილზეც ლითოლოგიურად ის უნდა შეესაბამებოდეს აქ გავრცელებული ფერდობული ნალექების სულ ზედა - ჰუმუსური ნიადაგით გამდიდრებულ და კლდოვანი ქანის ნატეხები იშვიათი ჩანართებით წარმოდგენილ თიხიან ფენას, რომელშიც მცირე რაოდენობით ქვიშის მასალაც ურევია.

**მეორე გეოფიზიკური შრის**  $\rho_a$ -ის მნიშვნელობა 9 ომმ-ის ფარგლებშია, იწყება 0,8 მეტრიდან და ვრცელდება 7 მეტრამდე. ეს ფენი უნდა შეესაბამებოდეს აქ გავრცელებულ ისევ კოლუვიურ ნალექებს, რომელიც სავარაუდოდ წარმოდგენილია თიხის, მცირე რაოდენობის ქვიშნარის ნარევით და ისევ კლდოვანი ქანების ნატეხების ძალიან მცირე ჩანართებით წარმოდგენილ და უფრო ნაკლები სიმკვრივის ფენას, რომელშიც ტენიანობა უფრო მომატებული უნდა იყოს,

ვიდრე ზედა ფენში.

მესამე გეოფიზიკური შრის  $\rho_a$ -ს მნიშვნელობა 3 ომმ-ის ტოლია, იწყება 7 მეტრიდან და ვრცელდება 14 მეტრამდე. ეს ფენი უნდა შეესაბამებოდეს კარგად ახარისხებული ტერიგენული ქანებით წარმოდგენილ დასტას, რომელშიც წვრილფრაქციული მასალა ნაკლები კონცენტრაციით უნდა მონაწილეობდეს და ტენშემცველობაც გაცილებით მომატებული უნდა იყოს, ვიდრე ზედა ფენში.



ნახ.30. ვეზ 31-ის გეოელექტრული სვეტი


მეოთხე გეოფიზიკური შრის  $\rho_a$  მნიშვნელობა ისევ იზრდება 20 ომმ-მდე. ის იწყება 14 მეტრიდან და ვრცელდება 30 მეტრამდე. ჩვენი ვარაუდით ეს ფენი უნდა შეესაბამებოდეს საღი და უფრო მკვრივი სტრუქტურის მასალით წარმოდგენილ ქანებს და მათში სავარაუდოდ ტენიანობაც შეიძლება ნაკლები იყოს ვიდრე ზედა მესამე ფენში.

მეხუთე გეოფიზიკური ფენის  $\rho_a$  მნიშვნელობა ძალიან დაბალია და 3 ომმ-ის ფარგლებში იცვლება. ის იწყება 30 მეტრიდან და ვრცელდება 60 მეტრამდე. ამ მონაცემების მიხედვით ეს ფენი ისევ მკვრივი ქანების ერთობლიობით უნდა იყოს წარმოდგენილი და ამავე დროს ის დანაპრალიანებული უნდა იყოს და მომატებული ტენშემცველობით უნდა ხასიათდებოდეს.

მეექვსე გეოფიზიკური შრის  $\rho_a$  მნიშვნელობა მკვეთრად მომატებულია და 650 ომმ-ის ფარგლებში იცვლება. ის იწყება 60 მეტრიდან და ვრცელდება სიღრმეში ისე, რომ მისი ქვედა საზღვარი 150 მეტრამდეც არ შემოიფარგლა. ამ მონაცემების მიხედვით ეს ფენი უფრო მაღალი სიმკვრივით, ნაკლები ნაპრალიანობით და ნაკლები ტენშემცველობით უნდა ხასიათდებოდეს ვიდრე მეხუთე ფენი. ამ მონაცემებით ეს სიღრმე ამ ჭრილში ლითოლოგიური კონტაქტის დონეს უნდა შეესაბამებოდეს მეხუთე და მეექვსე ფენებს შორის.

ვეზ 32-ის კვლევის შედეგები. ამ ადგილზე დღიური ზედაპირიდან ქვემოთ, 150 მეტრამდე სიღრმეში, 3 განსხვავებული წინალობის ფენი გამოიყო (ნახ.31).

პირველი გეოფიზიკური შრის მოჩვენებითი კუთრი ელექტრული წინალობის ( $\rho_a$ ) მნიშვნელობა 21 ომმ-ს შეადგენს, ხოლო მისი სიმძლავრე 3,8 მეტრამდეა. ლითოლოგიურად ის უნდა შეესაბამებოდეს ამ ადგილას გავრცელებული ფერდობული ნალექების სულ ზედა, ჰუმუსური ნიადაგით გამდიდრებულ და კლდოვანი ქანის იშვიათი ნატეხების ჩანართებით წარმოდგენილ თიხის ფენას, რომელშიც მცირე რაოდენობით ქვიშა არის შერეული.




ნახ.31. ვეზ 32-ის გეოელექტრული სვეტი

მეორე გეოფიზიკური შრის  $\rho_a$  მნიშვნელობა 9 ომმ-ის ფარგლებშია, იწყება 3,8 მეტრიდან და ვრცელდება 39 მეტრამდე. ჩვენი ვარაუდით ეს ფენი აქაც უნდა შეესაბამებოდეს ამ რეგიონში გავრცელებული წმინდა და საშუალო მარცვლოვანი სტრუქტურის ქანებს და რომლებიც შეიძლება სიღრმეში ნაპრალოვნებითაც ხასიათდებოდნენ. ასევე უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ფენში ტენიანობაც ძალიან უნდა იყოს მომატებული.


მესამე გეოფიზიკური შრის  $\rho_a$  მნიშვნელობა ისევ გაზრდილია და 50 ომმ-ს აჭარბებს. ის იწყება 39




მეტრიდან და ვრცელდება სიღრმეში ისე, რომ ქვემოდან (150 მ სიღრმემდე) შემოსაზღვრული არ არის. ამ მონაცემების მიხედვით ამ ფენის ამგები ქანები საღი სტრუქტურით, მეტი სიმკვრივით და ნაკლები ნაპრალოვნებით უნდა ხასიათდებოდნენ. ჩვენი ვარაუდით ამ მონაცემებით ეს დონე ამ ადგილას არსებულ მეორე და მესამე ფენის ამგებ ქანებს შორის მკვეთრ ლითოლოგიურ საზღვარს უნდა შეესაბამებოდეს.




ნახ. 32. პროფილი 1-ის გასწვრივ მოჩვენებითი კუთრი ელექტრული წინააღობის განაწილება




ნახ. 33. პროფილი 1-ის გასწვრივ გეოელექტრული ჭრილი







ნახ. 34. პროფილი 2-ის გასწვრივ მოჩვენებითი კუთრი ელექტრული წინაღობის განაწილება



ნახ. 35. პროფილი 2-ის გასწვრივ გეოელექტრული ჭრილი



ნახ. 36. პროფილი 3-ის გასწვრივ მოჩვენებითი კუთრი ელექტრული წინაღობის განაწილება



ნახ. 37. პროფილი 3-ის გასწვრივ გეოელექტრული ჭრილი

### 5.3.5 გრავირება

#### 5.3.5.1 გრავიმეტრიული მონაცემების ინტერპრეტაცია

ძიების გრავიმეტრიული მეთოდი ემყარება დამიჭის ზედაპირზე სიმძიმის ძალის (გრავიტაციული ველი) განაწილების შესწავლას. გრავიმეტრიული მონაცემების ინტერპრეტაციის მიზანია ანომალიების რუკის მიხედვით გეოლოგიურ სტრუქტურებზე წარმოდგენის შექმნა. მონაცემების ანალიზისათვის გამოიყენება ინტერპრეტაციის შესაბამისი მეთოდიკა. ყველას, ვინც კი გრავიმეტრიულ მონაცემებს იყენებს, განსაკუთრებით კი გეოლოგებისათვის, ნათელია, რომ არსებული მეთოდიკებიდან რაგინდ საუკეთესოს გამოყენება ვერ გაგვცემს ცალსახა პასუხს დასმულ ამოცანაზე.

სიმძიმის ძალის ორი თავისებურება ცალსახა ინტერპრეტაციას თითქმის შეუძლებელს ხდის. პირველი –  $\Delta g$ -ს გაზომილი მნიშვნელობა დაკვირვების ნებისმიერ წერტილში ასახავს დღიური ზედაპირის ქვეშ მდებარე მრავალი მასის განაწილების ჯამურ გავლენას. გრავიმეტრიული რუკა თითქმის არასდროს წარმოადგენს ცალკეული, იზოლირებული, ანომალიის მარტივ სურათს, არამედ პრაქტიკულად ყოველთვის იძლევა შედარებით "მკვეთრ" და "ფართო" ანომალიების კომბინაციას, რომელთა წყაროები სხვადასხვა სიღრმეზეა განლაგებული. ამიტომ, ინტერპრეტაცია მხოლოდ მას შემდეგ შეგვიძლია ჩავატაროთ, როდესაც სხვადასხვა ხერხებით დადგინდება თითოეული წყაროს წვლილი საერთო ველში.

სიმძიმის ძალის გაზომვის ყველა არსებული მეთოდი შეიძლება გაიყოს დინამიკურ და სტატიკურ მეთოდებად.

სიმძიმის ძალის გაზომვები შეიძლება იყოს აბსოლუტური და ფარდობითი. აბსოლუტური გაზომვებისას ხდება სიმძიმის ძალის სრულ მნიშვნელობის განსაზღვრა. ამ შემთხვევაში დროის გარდა საზღვრავენ ხაზოვან მანძილებს. მაგალითად, საქანის სიგრძეს ან მანძილს რომელიც გაიარა თავისუფლად ვარდნილმა სხეულმა. ფარდობითი გაზომვებისას საზღვრავენ სიმძიმის ძალის არა სრულ მნიშვნელობას დაკვირვების წერტილში, არამედ სიმძიმის ძალის ნაზრდს (სხვაობას) ამ პუნქტში სხვა პუნქტის მიმართ, რომელშიც, როგორც წესი, სიმძიმის ძალის მნიშვნელობა ცნობილია.

**გრავიმეტრიის ჩვენება ნებისმიერ წერტილში დამოკიდებულია ადგილზე და არ არის დაკავშირებული ამ წერტილში სიმძიმის ძალის აბსოლუტურ მნიშვნელობაზე.**

გრავიმეტრიის ყველა ჩვენება გამოისახება სკალის ნებისმიერი დანაყოფის მეშვეობით. მაგალითად,

$$\Delta g = C \cdot \Delta n$$

სადაც,  $\Delta g$  – სიმძიმის ძალის ნაზრდია,  $\Delta n$  – ანათვალის გრავიმეტრის მიკრომეტრულ ხრახნზე, ხოლო  $C$  – გრავიმეტრის დანაყოფის ფასი, რომელიც ყველა გრავიმეტრისათვის სხვადასხვაა. იმისათვის რომ გავიგოთ  $C$ -ს შესაბამისი მნიშვნელობა მილიგალებში, საჭიროა გრავიმეტრის გრადუირება, მართალია დანაყოფის ფასის მნიშვნელობა ყოველი ხელსაწყოთათვის ჯერ კიდევ ქარხანაში განისაზღვრება, მაგრამ იმის გამო, რომ დროთა განმავლობაში ის შეიძლება შეიცვალოს კვარცის ზამბარებში მიმდინარე დენადობის პროცესის გამო, საჭირო ხდება პერიოდულად შემოწმების ჩატარება.

**საველე სამუშაოების დაწყებამდე ჩატარდა გრავიმეტრის გრადუირება და განისაზღვრა ხელსაწყოთა დანაყოფის ფასი.**

თუ დაკვირვებათა შედეგად შეგვიძლია ისეთი რუკის აგება, რომელზედაც ველი იზოხაზებში იქნება გამოსახული, მაშინ ასეთ აგებმას **ფართობითი** ეწოდება. აგებმას ცალკეული მარშრუტებით, რომელთა შედეგი გრაფიკების სახით გამოისახება, **მარშრუტული** ეწოდება.

ცხრილში მოცემულია დაკვირვების წერტილების კოორდინატები

| პროფილი 1 |         |         | პროფილი 2 |         |          | პროფილი 3 |        |         |
|-----------|---------|---------|-----------|---------|----------|-----------|--------|---------|
| N         | x       | y       | N         | x       | y        | N         | x      | y       |
| საყრდენი  | 344 919 | 4609912 |           |         |          |           |        |         |
| 1.1       | 345 184 | 4609628 | 2.1       | 345 169 | 4610 153 | 3.1       | 345203 | 4610158 |
| 1.2       | 345 131 | 4610121 | 2.2       | 345 170 | 4610 123 | 3.2       | 345207 | 4610126 |
| 1.3       | 345 130 | 4610119 | 2.3       | 345 186 | 4610 072 | 3.3       | 345208 | 4610099 |
| 1.4       | 345 132 | 4610093 | 2.4       | 345 184 | 4610 038 | 3.4       | 345213 | 4610044 |
| 1.5       | 345 135 | 4610049 | 2.5       | 345 171 | 4610 006 | 3.5       | 345215 | 4610015 |
| 1.6       | 345 134 | 4610008 | 2.6       | 345 171 | 4609 969 | 3.6       | 345211 | 4609976 |
| 1.7       | 345 132 | 4609982 | 2.7       | 345 171 | 4609 934 | 3.7       | 345216 | 4609918 |
| 1.8       | 345 133 | 4609982 | 2.8       | 345 172 | 4609 901 | 3.8       | 345217 | 4609865 |
| 1.9       | 345 137 | 4609947 | 2.9       | 345 178 | 4609 856 | 3.9       | 345226 | 4609800 |
| 1.10      | 345 141 | 4609978 | 2.10      | 345 178 | 4609 823 | 3.10      | 345225 | 4609721 |
| 1.11      | 345 139 | 4609854 | 2.11      | 345 178 | 4609 787 | 3.11      | 345226 | 4609660 |
| 1.12      | 345 155 | 4609812 | 2.12      | 345 179 | 4609 755 | 3.12      | 345836 | 4609608 |
| 1.13      | 345 157 | 4609773 | 2.13      | 345 183 | 4609 627 | 3.13      | 345244 | 4609553 |
| 1.14      | 345 145 | 4609758 | 2.14      | 345189  | 4609699  | 3,14      | 345248 | 4609492 |
| 1,15      | 345148  | 4609651 | 2.15      | 345182  | 4609574  | 3.15      | 345252 | 4609415 |


|      |         |         |      |         |          |  |  |  |
|------|---------|---------|------|---------|----------|--|--|--|
| 1.16 | 345 153 | 4609552 | 2.16 | 345193  | 46095294 |  |  |  |
| 1.17 | 345 157 | 4609478 | 2.17 | 345803  | 4609473  |  |  |  |
| 1.18 | 345156  | 4609402 | 2.18 | 3452411 | 4609414  |  |  |  |

ველზე მუშაობისას ჩვენ მიერ გაყვანილი იქნა სამი ერთმანეთის პარალელური მარშრუტი დაახლოებით 750 მეტრის სიგრძისა (სქემა 2) როგორც აღვნიშნეთ, სიმძიმის ძალის ფარდობითი განსაზღვრა დამყარებულია სტატიკურ მეთოდებზე. ამ მეთოდების გამოყენება შემდეგი მარტივი პრინციპით წარმოებს. წარმოვიდგინოთ სხეული, რომელზედაც ერთი მხრივ მოქმედებს სიმძიმის ძალა და მეორე მხრივ – რაღაც მუდმივი ძალა (მაგ. აირის ან ზამბარის დრეკადი ძალა). დაუშვათ ამ ორი ძალის მოქმედებით სხეული წონასწორულ მდგომარეობაშია. თუ სიმძიმის ძალა შეიცვლება, სხეული სხვა მდებარეობას დაიკავებს, რადგან ჩვენი დაშვებით გამაწონასწორებელი ძალა უცვლელია. სხეულის წონასწორობის მდგომარეობის შეცვლა შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც სიმძიმის ძალის ცვალებადობის ზომა. სწორედ ამ პრინციპს ემყარება სტატიკური გრავიმეტრის მუშაობა.


გრავიმეტრი წარმოადგენს ძალიან მგრძობიარე საწონ მოწყობილობას, რომლის მგრძობიარე ელემენტია ზამბარა, რომელსაც ფიქსირებული  $m$  მასა უჭირავს. რადგანაც მასის წანაცვლება, გამოწვეული სიმძიმის ძალის მცირე ცვლილებით, ძალიან მცირეა (დაახლოებით 10-10 მ რიგისა), ამიტომ ძირითად პრობლემას გრავიმეტრების კონსტრუირებისას წარმოადგენს საჭირო მგრძობიარობის მიღწევა. ძირითადად გამოიყენება ორი ტიპის სისტემა: 1 = მდგრადი ანუ **სტატიკური** სისტემა, რომელშიდაც საჭირო მგრძობიარეობის მისაღწევად გამოიყენება დიდი ოპტიკური ან მექანიკური გამადიდებლობა და 2 - არამდგრადი, ანუ **ასტაზირებული** სისტემა, რომელშიც მოქმედებს მასის გამაწონასწორებელი ძალა, რის გამოც სისტემა ადვილად გამოდის წონასწორობის მდგომარეობიდან და სიმძიმის ძალის მცირე ცვლილება ქმნის შედარებით დიდ დაკვირვებად წანაცვლებას. დიაპაზონური ხრახნისა და შესაბამისი ზამბარის საშუალებით ხდება ხელსაწყოს დიაპაზონის გადართვა, რაც საშუალებას იძლევა გაზომვის ინტერვალი 10-ჯერ და მეტად გაიზარდოს.

### **ჩვენ მიერ გამოყენებულ იქნა კვარცის ასტაზირებული გრავიმეტრი**

როგორც აღინიშნა, საკვლევ ტერიტორიაზე გაყვანილ იქნა სამი, მერიდიანის მიმართულების ერთმანეთის პარალელური პროფილი. პროფილებს შორის მანძილი დაახლოებით 40 მეტრი იყო. საყრდენ პუნქტად შერჩეული იყო საცხოვრებელი სახლის კიბის უჯრედის ბეტონის ფილა.



**სქემა 2.** გრავიძიების დაკვირვების წერტილების განლაგება პირველი, მეორე და მესამე პროფილების გასწვრივფილის მდგრადობით რხევების მიმართ და, რაც შეიძლება ცალკე აღინიშნოს ეს ადგილი დაცული იყო ქარისაგან, რაც, როგორც ცნობილია, საკმაოდ ართულებს ანათვლის აღებას. პროფილებზე მუშაობისას პერიოდულად ხდებოდა საყრდენ პუნქტზე დაბრუნება და ანათვლის აღება. იხ. სქემა:



**ნახ. 38.** გრავიმეტრით აგემვის სქემა

გრავიმეტრიული მონაცემები მოტანილია ცხრილში.

გრავიმეტრიული პროფილები

|       | პროფილი 1  |            |      | პროფილი 2  |            |       | პროფილი 3  |            |      |
|-------|------------|------------|------|------------|------------|-------|------------|------------|------|
|       | მანძილი    | შეჯამებული | Δg   | მანძილი    | შეჯამებული | Δg    | მანძილი    | შეჯამებული | Δg   |
|       | წერტილებს  | მანძილი.   |      | წერტილებს  | მანძილი.   |       | წერტილებს  | მანძილი.   |      |
|       | შორის.     | მეტრი      |      | შორის.     | მეტრი      |       | შორის.     | მეტრი      |      |
| მეტრი | მეტრი      |            |      | მეტრი      |            |       | მეტრი      |            |      |
| 1     | 0          | 0          | -7.2 | 0          | 0          | -15.1 | 0          | 0          | -8.7 |
| 2     | 25         | 25         | -6.0 | 30         | 30         | -13.6 | 32         | 32         | -7.5 |
| 3     | 14         | 39         | -4.7 | 38         | 68         | -10.9 | 28         | 60         | -6.5 |
| 4     | 14         | 53         | -4.8 | 31         | 99         | -9.7  | 56         | 116        | -5.5 |
| 5     | 44         | 97         | -3.8 | 51         | 150        | -7.7  | 29         | 145        | -4.0 |
| 6     | 41         | 138        | -2.9 | 37         | 187        | -6.4  | 38         | 183        | -2.9 |
| 7     | 27         | 165        | -1.7 | 34         | 221        | -6.4  | 56         | 239        | -2.2 |
| 8     | 15         | 180        | -1.3 | 34         | 255        | -5.2  | 53         | 292        | -1.4 |
| 9     | 23         | 203        | -0.8 | 45         | 300        | -4.3  | 67         | 359        | -0.1 |
| 10    | 36         | 239        | -0.2 | 35         | 336        | -4.0  | 78         | 437        | 1.6  |
| 11    | 56         | 295        | 0.2  | 36         | 370        | -3.1  | 60         | 497        | 2.7  |
| 12    | 48         | 343        | 0.8  | 34         | 404        | -3.4  | 55         | 552        | 3.2  |
| 13    | 35         | 376        | 1.0  | 65         | 471        | -2.4  | 52         | 604        | 3.2  |
| 14    | 30         | 408        | 0.8  | 64         | 533        | -1.0  | 64         | 668        | 4.6  |
| 15    | 92         | 500        | 2.3  | 53         | 586        | 3.9   | 77         | 745        | 5.9  |
| 16    | 103        | 603        | 4.1  | 45         | 631        | 4.7   | <b>745</b> |            |      |
| 17    | 67         | 670        | 5.2  | 55         | 686        | 4.9   |            |            |      |
| 18    | 70         | 740        | 5.8  | 62         | 749        | 5.5   |            |            |      |
| 19    | <b>740</b> |            |      | <b>749</b> |            |       |            |            |      |


### 5.3.6 Δგ - მრუდების ანალიზი

Δგ - მრუდების აგების შემდეგ ჩატარდა მათი რაოდენობრივი ანალიზი, რათა გამოგვეყო ამ ველის გამომწვევი სტრუქტურა. როგორც აღვნიშნეთ, გრავიმეტრიული პროფილები ერთმანეთის პარალელურია და მათ შორის მანძილი 40 მეტრის ფარგლებშია. აგემვის მასშტაბი გვადლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ჩატარდა დეტალური გრავიმეტრიული აგემვა.


პირველი, რაც შეიძლება ვთქვათ, არის ის გარემოება, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე დაახლოებით 150 მეტრის სიღრმის ფარგლებში არ გამოიყოფა მკვეთრი გრავიაქტიური საზღვარი, ანუ, ფენა, რომლის სიმკვრივე შესამჩნევად ჭარბობს გარემომცველი ქანების სიმკვრივეს, მაქსიმალური სიმკვრივე, რაც დაიკვირვება აღნიშნულ ტერიტორიაზე (ცხადია ვგულისხმობთ აქ გაბურღული ჭაბურღილებიდან მიღებულ კერნულ მასალას), არ აღემატება 2,52 გ/სმ<sup>3</sup>-ს. როგორც ჩანს, სწორედ ეს ფენა გამოიყო გრავიმეტრიული აგემვისას. ამ ფენის ჩაწოლის სიღრმეები მოცემულია ცხრილში.

| N  | პროფილი 1   |            | პროფილი 2   |            | პროფილი 3   |            |
|----|-------------|------------|-------------|------------|-------------|------------|
|    | x - მანძილი | h - სიღრმე | x - მანძილი | h - სიღრმე | x - მანძილი | h - სიღრმე |
| 1  | 0           |            | 0           |            | 0           |            |
| 2  | 25          | 148        | 30          | 140        | 32          | 140        |
| 3  | 39          | 144        | 68          | 136        | 60          | 136        |
| 4  | 53          | 142        | 99          | 130        | 116         | 134        |
| 5  | 97          | 132        | 150         | 120        | 145         | 124        |
| 6  | 138         | 120        | 187         | 118        | 183         | 114        |
| 7  | 165         | 112        | 221         | 120        | 239         | 110        |
| 8  | 180         | 108        | 255         | 122        | 292         | 114        |
| 9  | 203         | 102        | 300         | 110        | 359         | 120        |
| 10 | 239         | 95         | 336         | 104        | 437         | 106        |
| 11 | 295         | 87         | 370         | 100        | 497         | 84         |
| 12 | 343         | 80         | 404         | 102        | 552         | 68         |
| 13 | 376         | 80         | 440         | 105        | 604         | 60         |
| 14 | 408         | 84         | 471         | 98         | 668         | 52         |
| 15 | 445         | 80         | 533         | 70         | 720         | 36         |
| 16 | 500         | 66         | 586         | 40         |             |            |
| 17 | 603         | 60         | 631         | 22         |             |            |
| 18 | 670         | 50         | 686         | 20         |             |            |
| 19 | 700         | 40         | 720         | 20         |             |            |






**ნახ. 39.** ა - Δგ გრავიტაციული ანომალური ველის გრაფიკი. ბ- გრავიექტირი ზედაპირი



ნახ. 40. ა - Δგ გრავიტაციული ანომალური ველის გრაფიკი. ბ- გრავიაქტირი ზედაპირი



**ნახ. 41.** ა - Δგ გრავიტაციული ანომალური ველის გრაფიკი. ბ- გრავიაქტიური ზედაპირი

Δგ - მრუდებს დაახლოებით ერთნაირი სტრუქტურა აქვს. იწყება უარყოფითი მნიშვნელობით და გადადის დადებით მნიშვნელობაზე. პირველი და მესამე მრუდი საკმაოდ წააგავს ერთმანეთს, მათი მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობები შესამჩნევად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუ პირველი იწყება -7.2 მილიგალით და მთავრდება 5.8 მილიგალით, მესამეს ცვლილების ფარგლებია -8.7 – 5.9 მილიგალი. გარდა ამისა, ორივე მრუდზე დაიკვირვება დაახლოებით ერთნაირი ფორმის ამოზნექილი არე. მართალია პირველ მრუდზე ეს არე 250 მეტრს არ აღემატება, მესამე მრუდზე ეს არე თითქმის 400 მეტრის სიგრძეზე ვრცელდება. ამ ორი მრუდისაგან განსხვავდება მეორე მრუდი: კერძოდ, ის იწყება -15.1 მილიგალით, თუმცა, მისი ბოლო 5.5 მილიგალს არ აღემატება. ეს მრუდები შესაბამისად ფორმითაც განსხვავდება. თუ პირველი და მესამე საკმაოდ გლუვად გადადის მინიმუმიდან მაქსიმალურ მნიშვნელობაში, მეორე მრუდზე 525-600 მ მოწკვეთში დაიკვირვება სიმძიმის ძალიან ცვლილების საკმაოდ მაღალი გრადიენტი.


რაც შეეხება, გრავიაქტიურ ფენას, ის შედარებით კარგად გამოიყო. მისი ჩრდილო ნაწილი შედარებით ღრმადაა განლაგებული, ვიდრე სამხრეთი. პირველი მრუდის მიხედვით მისი სიღრმე 148 მ-ია, მეორე და მესამე მრუდების მიხედვით 140 მეტრი, ხოლო სამხრეთი ბოლო 40, 20 და 32 მეტრზეა შესაბამისად. როგორც ჩანს, ამ ფენის სიმკვრივე და წოლის ფორმა ტერიტორიის ცენტრში უფრო იცვლება, ვიდრე მის პერიფერიაზე, რაც საკმაოდ კარგად აისახა Δგ - მრუდებზე.

### 5.3.7 დასკვნები

მდ. მტკვრის ხეობაში დაგეგმილი ჰიდრო ელექტრო სადგურის გვირაბის განთავსების ამ მონაკვეთზე (პკ.14+88 - პკ.24+10) ჩატარებული გეოფიზიკური კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ:

1. ჩატარებული გეოფიზიკური კვლევების მოცულობები სრულად შეესაბამება დავალებით განსაზღვრულს და საშუალებას გვაძლევს როგორც დამხმარე მეთოდები, წარმატებით გამოვიყენოთ დასმული საინჟინრო-გეოლოგიური ამოცანის გადასაწყვეტად.
2. საკვლევ უბანზე მოჩვენებითი კუთრი ელექტრული წინაღობების მნიშვნელობათა მიხედვით დღიური ზედაპირიდან ქვემოთ სამი, ოთხი, ხუთი და ექვსი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (გეოფიზიკური ფენი) გამოიყოფა.
3. სულ ზემოთა კოლუვიური ნალექების სიმძლავრე 0,7 მეტრიდან 8 მეტრამდე იცვლება.
4. პირველ პროფილზე, გვირაბის საპროექტო ადგილზე ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით ნაპრალოვანი და მომატებული ტენშემცველობის ქანები სავარაუდოდ 18 მეტრიდან 80-100 მეტრამდე და იშვიათად 150 მეტრის სიღრმემდე მერყეობს.
5. საღი სტრუქტურის ქანების ჩაწოლის სიღრმეები სავარაუდოდ საკვლევი ფართის ქვედა ნახევარში 35 მეტრიდან 100-150 მეტრის ფარგლებში მერყეობს. შესაბამისად მკაფიო ლითოლოგიური საზღვარი ამ საშუალო სიმკვრივის, მომატებული ნაპრალოვნების და ტენშემცველ ფენებსა და ქვემოთ მდებარე მაღალი სიმკვრივის და საღი სტრუქტურის ფენებს შორის ამ სიღრმეებს უნდა ემთხვეოდეს.
6. პირველ, მეორე და მესამე პროფილის გასწვრივ ჩატარებული კვლევების შედეგები როგორც ლატერალურად ისე ვერტიკალურ ჭრილებში კარგ კორელაციაშია ერთმანეთთან როგორც გამოყოფილი ფენების რაოდენობის, ასევე მათი სიღრმეების და გეოფიზიკური პარამეტრების მნიშვნელობების მიხედვით. ასეთი დამთხვევა ერთი მხრივ გამოკვლეულ გარემოთა სიღრმეში ერთმანეთთან კარგ კორელაციაზე, მეორეს მხრივ კი გამოყენებული მეთოდების ობიექტურობაზე მიუთითებს.
7. სასურველი იქნება თუ გვირაბის პროფილის გასწვრივ ვეზ 7-დან ვეზ 17-მდე მონაკვეთში ვეზების გამოკვლევის ადგილების სიახლოვეში სამი ან ოთხი 80 მეტრიანი სიღრმის საკონტროლო ჭაბურღილები გაკეთდება. ეს საშუალებას მოგვცემს შევამოწმოთ გამოყოფილი ფენების შესაბამისი ქანები და მათი ჩაწოლის სიღრმეები.

## 5.4 დანართი 4 გეოლოგიური რუკა




ლითოლოგიურ-სტრატობრაზულ სეზმ

| სტრატობრაზული ერთეული        | სტრატობრაზული ერთეულის სახელი | სტრატობრაზული ერთეულის ასაკი   | ლითოლოგიური აღწერა  |  |
|------------------------------|-------------------------------|--|---|--|
| შუბა მიწისქვეშა (შუბა ვიწრო) | dQIV                          |  | ღელეღიანი, თხინარი, ნახევრადმკვრივი, ჭეჩქის და ლორღის ჩანარებით   |  |
|                              | eQIV                          |  | ელეფანტიანი, თხინარი, ნახევრადმკვრივი, ჭეჩქის და ლორღის ჩანარებით |  |
|                              | Pg2                           | 16   |   | ღელეღიანი, თხინარი, ნახევრადმკვრივი, ჭეჩქის და ლორღის ჩანარებით  |
|                              |                               | 15   |   | ღელეღიანი, თხინარი, ნახევრადმკვრივი, ჭეჩქის და ლორღის ჩანარებით  |
|                              |                               | 14   |   | მდედრისფერი-მწვანე მასიური საშუალომკვრივად და მკვრივად კლასტრული   |
|                              |                               | 12(2)  |   | საქრისფერი-მწვანე სტრატობრაზული წიფელი და მსხვილნაკვთოვანი ტუფების, ღია მწვანე და მდედრისფერი-მწვანე ფერის არეალუბების და მოწვანო-წითელი წიფელი და საშუალომკვრივად და მკვრივად კლასტრული მარილები. |
|                              |                               | 12a  |   | საქრისფერი არეალუბები 60%, არეალუბები თიხების 15% და წიფელმკვრივი კლასტრული შუამრეხები 25%   |
|                              |                               | 11   |   | მდედრისფერი და წითელი, ტუფოკლასტური და ტუფები 85-90%, არეალუბების შუამრეხები 10-15%  |
|                              |                               | 10   |   | შუბა საქრისფერი ანელისტური გარეული.  |
| 9                            |                               | საქრისფერი და მოწვანო-წითელი არეალუბების და წიფელმკვრივი კლასტრული შუამრეხები (5-40მ) შუბა წიფელი (1-3მ) კლასტრული შუამრეხები, ქვიშა და ნალექი შუბა საქრისფერი გარეული არეალუბების და წიფელმკვრივი კლასტრული შუამრეხები (5-40მ) და სხვა (2.2). |   |  |
| 9                            |                               | შუბა საქრისფერი ანელისტური გარეული.  |   |  |

სტრატობრაზული აღნიშვნები

- სახელწოდებული ლითოლოგიურ-სტრატობრაზული ერთეულის შიგნით
- 11 - ლითოლოგიურ-სტრატობრაზული ერთეულის ნიშანი
- შიგნითაა აღნიშნული
- ტექსტურული რეზონანსი
- ანტიკლინალური ლაინი
- სიბრტყის ლაინი
- 30° - შიგნითაა აღნიშნული
- ზაბ.20(2009) 70 - ჰაბერლი, შიგნითაა აღნიშნული, სიბრტყის და ანტიკლინალური

# საინჟინრო-გეოლოგიური რუკის ჭრილი



**ლითოლოგიურ-სტრატისრაფიული სვეტი**


| კონსტრუქციის ტიპი            | ინჟინერული აღნიშვნა | სტრატისრაფიული აღნიშვნა | კლასიფიკაცია                      | აღწერა  |   |
|------------------------------|---------------------|-------------------------|-----------------------------------|---|---|
| შუბა მიწისძვრა (შუბა წყვილი) | dQv                 |                         |                                   | დღვლიანი, თხსარი, ნახვერდამიარი, ზერტის და ღორღის წინაროები |   |
|                              | eQv                 |                         |                                   | ღვლიანი, თხსარი, ნახვერდამიარი, ზერტის და ღორღის წინაროები  |   |
|                              | Pg <sub>z</sub>     | 12(6)                   |                                   |   | ახეზიერი შედეგილობის პრეჟიები, ტოუბი და ტოუბქოშქები   |
|                              |                     | 12(4)                   |                                   |   | საშუალო და წროღნიტოხიანი ტოუბი და წროღნიტოხიანი ტოუბქოშქები 90-95%, არეღილები 5-10% შუაშრეები.  |
|                              |                     | 12(3)                   |                                   |   | ნაგროსიფერი წროღნიტოხიანი ქოშქები-70%, არეღილები შუაშრეები-30%.                                 |
|                              |                     | 12(2)                   |                                   |   | ნაგროსიფერი არეღილები-60%, არეღილებიერი თოხების 15% და წროღნიტოხიანი ქოშქების შუაშრეები-25%.    |
|                              |                     | 12(1)                   |                                   |   | არეღილები 90-95%, წროღნიტოხიანი ქოშქების შუაშრეები 5-10%.                                       |
|                              |                     | 12a                     |                                   |   | შიფიფიფერი ნაგროსიფერი და ნაგროსიფერი, ტოუბქოშქები და ტოუბი 85-90%, არეღილები შუაშრეები 10-15%. |
| 11                           |                     |                         | შუბი ნაგროსიფერი ახეზიერი გიხეფი. |   |   |

**კონსტრუქციის აღნიშვნები**

- რახტის ნოიხი
- საშუალო რახტის შოიხი
- პაპნიტოხი რა შიხი ნოიხი
- ლოიხი
- შრონიტოხი ბარნიანი
- რაწრონიტოხიანი ტოუბქოშქი რეწრონიტოხიანი

5.5 დანართი 5 ჭაბურღილების ლითოლოგიური სვეტები

|   |                         |   |
|---|-------------------------|---|
| დაწყების თარიღი: 29.06.2018<br>დასრულების თარიღი: 08.07.2018  | ბურღვის დიამეტრი: 96-72 | ჭაბურღილი №PK-16+00   |
| შემსრულებელი: შპს „გეოტექნიკი“<br>საბურთო დანადგარი: XY-44 A<br>ბურღვის მეთოდი: სვეტური<br>მპროექტავი: მ. მამულაშვილი |                         | კოორდინატები:<br>X(მ): 34519.386<br>Y(მ): 4609350.70<br>Z(მ): 1042.09 |



|  |  |                                    |
|--|--|------------------------------------|
| შენიშვნები:<br>TCR % - კრწის სრული გამოხევალი<br>SCR % - კრწის მალაქური გამოხევალი<br>TCR % - კრწის ხარისხის მანდრეული | ჭაბურღილში გრუნტის წყლის დაშარების დონე (მ):                     | შემსრულებელი: დ. სირბილაძე         |
| შპს „გეოტექნიკი“   | პროექტის დასახელება: გეოლოგიური მომსახურება „მტკვარი პესისათვის“ | ხელშეკრულება №11/06/2018 (GC-1823) |
|  |  | ფურცელი 1 / 7                      |

|  |                        |   |
|--|------------------------|---|
| დაწვევის თარიღი: 29.06.2018<br>დასრულების თარიღი: 08.07.2018   | ბურღვის დამატრი: 96-72 | ჭაბჭარლილი №PK-16+00  |
| შემსრულებელი: შპს „აგეირგეინი“<br>საბურღი დახადება: XY-44 A<br>ბურღვის მეთოდი: ხეცეური<br>მბურღელი: მ. მამულაშვილი |                        | კოორდინატები:<br>X(მ): 34519386<br>Y(მ): 460935070<br>Z(მ): 1042.09 |

| მაღუბანი (მ) | ფურცის საჯვრის სიგრძე (მ) | დასაწყისი № | წილის ბურღვის მინიციფები | კლდეანი ქანის შეფასება |       |       | შრჩის წყლის დონე (მ) | გამოვლენა | დამატრება | ლოთილოგიური კრთილი | კაბურღლის კონსტრუქცია |
|--------------|---------------------------|-------------|--------------------------|------------------------|-------|-------|----------------------|-----------|-----------|--------------------|-----------------------|
|              |                           |             |                          | TCR %                  | SCR % | RQD % |                      |           |           |                    |                       |
| 11.7         |                           |             |                          | 96                     | 23    |       |                      |           |           |                    |                       |
| 13.0-13.2    |                           | მ           |                          | 97                     | 72    |       |                      |           |           |                    |                       |
| 14.8-15.0    |                           | მ           |                          |                        |       |       |                      |           |           |                    |                       |
| 15.8-16.0    |                           | მ           |                          |                        |       |       |                      |           |           |                    |                       |
| 18.4-18.6    |                           | მ           |                          | 98                     | 74    |       |                      |           |           |                    |                       |
|              |                           |             |                          | 94                     | 18    |       |                      |           |           |                    |                       |

**შრეების აღწერა**

არბილიტაში ნაცრისფერი, საშუალოდ და სუსტად გამოფიტული, მცირე და ზოგან დაბალი სიმტკიცის, თხელ-და საშუალოშრეებრივი, ძლიერ ნაპრალოვანი. ნაპრალების ზედაპირები ბრტყელი და გლუვი, შეესებულა მტეროვან-თიხიანი შემაფებლით. გვხვდება შესუსტებული (გათიხებული) ზონებიც.

